# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 ნოემბერი, 2014 წელი.

№242 (7622)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## გოგა ხაინდრავა: ვფიქრობ, მსგავსი საპროტესტო აქცია რუსეთისთვის ცოტა მოულოდნელიც კი იყო

4

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი მიღებულია



პარლამენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტი საბოლოოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა. კანონპროექტს მხარი 73 დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი პარლამენტის 30 წევრი წავიდა. კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ თინა ხიდაშელს და „თავისუფალ-დემოკრატებს".

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლება შსს-ს რჩება, თუმცა, ამოქმედდება ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა, რომელთაგან ერთი „გასაღები" შს სამინისტროს რჩება, ხოლო მეორე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელში იქნება.

## პრეზიდენტის დარად ბიუჯეტის ხარჯზე გრიალს არც სხვა მაღალჩინოსნები იკლებდნენ

9

## ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, სასიხარულოა, რომ პროკურატურამ გირგვლიანის საქმე გამოიძია



ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ მართლმსაჯულება აღდგება და კიდევ ერთხელ იზეიმებს სამართლიანობა.

„ეს იყო ძალიან მძიმე მოვლენა, ჩვენი ქვეყნის სირცხვილი, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა. ეს კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ წინა ხელისუფლების დროს ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს, ისეთს, როგორიცაა ადამიანების წამება, ძალიან მძიმე დანაშაულები, მათ შორის უკანონო ფარული მიყურადება, მასობრივი უკანონო მოსმენები", — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## თორნიკე შარაშენიძე: რუსეთი გრძნობს, რომ საქართველო ამ ეტაპზე სუსტია და ამით სარგებლობს

3



## „სამშობლოს დამცველები" ყალბი მოწმობებით

2

### პროკურატურა ვეტერანების მოწმობების კანონიერებას სწავლობს

## მადლიერების დღე პატრიარქთან ერთად



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მადლიერების დღე რიჩარდ ნორლანდთან სადილით აღნიშნა.

ამერიკის საელჩოს ინფორმაციით, ილია II ელჩის რეზიდენციას სტუმრობდა და მის ოჯახთან ერთად ისადილა.

რიჩარდ ნორლანდის ოჯახმა და პატრიარქმა სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

## შობის მარხვა დაიწყო

დღეიდან მართლმადიდებელი მორწმუნეებისთვის შობის მარხვა დაიწყო, რომელიც 7 იანვარს, უფლის შობის დღესასწაულზე დასრულდება. მარხვა 40 დღე გაგრძელდება. იგი მორწმუნეებს უფლის შობის დღესასწაულისთვის მოამზადებს.

ტრადიციულად, შობის მარხვის დროს, 25 დეკემბრამდე მორწმუნეებს, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, კვირის სხვა დღეებში, თევზის მიღება შეეძლებათ. შემდეგ თევზით ხსნილია მხოლოდ 31 დეკემბრის საღამოს და პირველ იანვარს. მორწმუნეებისთვის შემდგომ 7 იანვრამდე მარხვა ჩვეულებრივ გაგრძელდება.

## დაფასება

## ეთერ კაკულიას ვარსკვლავი...

11





## პოლიკარპე კაკაბაძე: ხელოვნება გვინდა ცხოვრების გასამართლებლად...

7

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალიანჩალიანი

## ამ მოდელს ემხრობა პრემიერიც

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ე.წ. გასაღებთან დაკავშირებით ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის პროექტის პირველი მოსმენით მიღებას მიესალმება და მას სახელმწიფოებრივად სწორ და გონიერ გადაწყვეტილებად აფასებს.

„ჩემთვის მართლაც გასაოცარია ის რეაქცია, რაც აქვთ ჩვენს ე.წ. ოპონენტებს. მართლაც, 9 წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობა ითმენდა ამ უსამართლობას და ამას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვა. ასევე, მინდა მივესალმო პარლამენტის უმრავლესობის მიერ მიღებულ სახელმწიფოებრივად სწორ და გონივრულ გადაწყვეტილებას.

პარლამენტმა ფარული მოსმენების ე.წ. გასაღებთან დაკავშირებით ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის საკანონმდებლო პაკეტი ხუთშაბათს პირველი მოსმენით 75 ხმით მიიღო. 75 მომხრე, 58 — წინააღმდეგი — ასეთია კენჭისყრის შედეგი. კვორუმი 68 ხმაა.

ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის საკანონმდებლო პროექტი ფარული მოსმენების ორგასაღებიანი სისტემის ამოქმედებას ითვალისწინებს, რომელთაგან ერთი „გასაღები“ შს სამინისტროს რჩება, ხოლო მეორე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელში იქნება.

## საქართველოს სტუმრობს

**საქართველოში** ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი პატრიკ დე რუზიე იმყოფება.

ევროკავშირის სამხედრო მაღალჩინოსანს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე მასპინძლობს.

ოფიციალური მიღების შემდეგ, სამხედრო მაღალჩინოსნებმა გენერალური შტაბის საკონფერენციო დარბაზში გამართეს შეხვედრა. მხარეებმა საუბარი საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავდაცვის სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის საკითხებითა და ურთიერთობის სამომავლო გეგმებით დაიწყეს. ყურადღება ერთიანი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობაზე გამახვილდა.

## სამი ახალი პროექტი

**ეკონომიკისა** და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მთავრობას, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში, სამი ახალი პროექტი წარუდგინა.

ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა, ორი პროექტი ინტენსიური მეფრინველეობის მიმართულების არის.

„ჯამში ამ მიმართულებით 60 სამუშაო ადგილი შეიქმნება, ხოლო მზა პროდუქტის სახით წელიწადში, წელიწადნახევარში დაახლოებით 500 ტონა ქათმის ხორცს მივიღებთ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ახალი პროექტი, რომელიც განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბადიჭალაში. გაკეთდება მაღალტექნოლოგიური საწარმო, რომელიც გამოიმუშავებს ორთოპედიისთვის საჭირო ფირფიტებს, ასევე სპეციალურ ჭანჭიკებს. დღეს ორთოპედიული ფირფიტები მთლიანად იმპორტირებულია და, შესაბამისად, ეს იქნება იმპორტის ჩამნაცვლებელი საწარმო“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

SIC!

# „სამშობლოს დამცველები“ ყალბი მოწმობებით

### პროკურატურა ვეტერანების მოწმობების კანონიერებას სწავლობს

**საბრძოლო მოკვლევა — ეს არის საკითხი, რომლის გარკვევას მთავარი პროკურატურა შეუდგა. for.ge-ს ინფორმაციით, 1992-93 წლების ბატალიონის მეთაურებს მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინება მიუვიდათ, რომ ისინი პროკურატურაში უნდა გამოცხადდნენ. კონკრეტულად რა საკითხთან დაკავშირებით იბარებენ, ჯერჯერობით უცნობია. for.ge-სთან საუბრისას აფხაზეთის ომის ვეტერანი, რომელიც ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური იყო, აცხადებს, რომ მისთვის უცნობია მიზეზი, რატომაც უნდა გამოცხადდეს საგამოძიებო ნაწილში. ოფიციალურად ამ ინფორმაციას პროკურატურაში არ ადასტურებენ.**

საქართველოში დაახლოებით 70 ათასი ვეტერანია. აქიდან 32 ათასი აფხაზეთის ომის ვეტერანია, დაახლოებით 5 ათასი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ვეტერანი. ძალიან ბევრს შეუჩერეს სტატუსი იმ მოტივით, რომ მათ ყალბი მოწმობები აღმოაჩნდათ, თუმცა, ასეთი ბევრი არაა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საგამოძიებო უწყება ვეტერანის სტატუსის მინიჭების კანონიერებას სწავლობს.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილე, ზაზა მესხი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ არის გონივრული ეჭვი, შეიძლება გაცილებით ნაკლები ვეტერანი იყოს, ვიდრე ოფიციალურად არის რეგისტრირებული. ზაზა მესხის განცხადებით, არანაირი საპროკურატურო ღონისძიებისათვის ვეტერანების საქმეები არ გადაგზავნილა და არც ახლო პერიოდში იგეგმება, დღეს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ვეტერანების ზუსტი რაოდენობის გარკვევა.

„ყველაფერი საბოლოოდ მიდის ბიუჯეტთან. ბიუჯეტის გარდა, არსებობს მხედრული პატივი და ღირსება. მთავრობასთან გვაქვს დაგეგმილი სამუშაო შეხვედრები, სადაც ვიმსჯელებთ ამ თემაზე, რა კუთხით უნდა მოხდეს ამ საკითხის დარეგულირება, ანუ მაქსიმალურად სწორი სიის დადგენა. რასაკვირველია, ეს არაა იოლი საქმე. შევეცდებით, რომ ეს საკითხი ჩატარდეს ძალიან უმტკივნეულოდ, ისე, რომ იმ ადამიანებს არ მიადგეს ჩრდილი, რომლებიც რეალურად ღებულობდნენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებაში“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ზაზა მესხი.

ვეტერანის სტატუსის მინიჭება შემდეგნაირად ხდება — პირი წერს განცხადებას, ამის შემდეგ იწყება გარკვეული საბუთების მოძიება, იბრძოდა თუ არა და არის თუ არა ამის შესახებ ჩანაწერი არქივებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივში მოიძებნა მონაცემი, რომ პიროვნება ირიცხებოდა რომელიღაც სამხედრო ქვედანაყოფში, ის ავტომატურად ღებულობს ვეტერანის სტატუსს.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის ყოფილი დირექტორის გელა დოლიძის განცხადებით არიან ადამიანები, რომლებიც ომის დროს ირიცხებოდნენ სამხედრო დანაყოფებში, მიიღეს ვეტერანის სტატუსი, მაგრამ ისინი უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების მონაწილე არ იყვნენ, თუმცა, საბუთები წესრიგში აქვთ. დოლიძის განცხადებით, ეს კანონის დეფექტია და არა სამსახურის.

„თუ არქივში არ მოიძებნა კონკრეტული ადამიანის საბუთი, მაშინ ის უნდა წარსდგეს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურში, სადაც არსებობს ვეტერანების დადგენის კომისია, სადაც უნდა წარმოადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელიც დაწერილი უნდა იყოს მეთაურების მიერ, მას უნდა ჰქონდეს სამი ხელმოწერა, რომელიც ნოტარიულად იქნება დამოწმებული.

დავუშვათ, რომელიღაც ბატალიონის მეთაურს უნდა, რომ თავისიანს გაუკეთოს ვეტერანის საბუთი, ის ჭკუასაც დაარიგებს, ისე მოამზადებს, რომ იმ კომისიის მოტყუება არაა რთული, თან მოჰყვება იმ კომისიაზე და მიაღებინებს ვეტერანის მოწმობას. ეს თავისთავად მეთაურის სინდისზეა“, — აცხადებს გელა დოლიძე.

კიდევ ერთი ვარიანტი გაყალბების, ეს არის პოლიციელების სია. როგორც გელა დოლიძე ამბობს, ომის პერიოდში თითქმის ყველა პოლიციელს გარკვეული პერიოდი გაფორმებული ჰქონდა მივლინება, ზოგს არც ჰქონდა მივლინება, მაგრამ მიწერილი იყო მივლინებაზე. მათ აქვთ საბუთები, რომ იმყოფებოდნენ კონფლიქტის ზონაში და ეკუთვნით ვეტერანობა.

„აი ამ კუთხით, ვისაც აქვს გაყალბებული, უდიდესი უმრავლესობა არის იმ პერიოდის პოლიციელი. რაც შეეხება დანარჩენებს, თუ ვინმეზე არსებობს ეჭვი, ეს უკვე მეთაურების სინდისზეა. სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეს, რეალურად რამდენია ვეტერანის სტატუსის მატარებელი. ქვეყანამ უნდა იცოდეს რამდენმა ადამიანმა გადადო თავი ამ ქვეყნისთვის. ეს სჭირდება არა მხოლოდ ვეტერანებს, არამედ ქვეყანას, რომ მომავალი თაობა საკუთარ გმირებს იცნობდეს.

**მეორე, რისთვისაც არის საჭირო — იცით, რომ ვეტერანებზე გარკვეული შეღავათებია გამოყოფილი. რაც უფრო მეტი იქნება ვეტერანი, მით მეტს გასცემს სახელმწიფო ბიუჯეტი. ვისაც არ ეკუთვნის ეს შეღავათი, ის არ უნდა ღებულობდეს. ადამიანი, რომელიც არ ყოფილა ომში და სარგებლობს ამ შეღავათით, მორალური თვალსაზრისით, უზნეობაა. როდესაც, პირი უკანონოდ ღებულობს შეღავათებს, ეს უკვე ფინანსური მაქინაციაა. გამოდის, რომ სახელმწიფოს ძარცვავს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გელა დოლიძე.

**ნანა სანიკიძე**

ფინანსები

# ხაზინის ერთიანი სისტემის იდეა ირღვევა

**ფინანსთა სამინისტრო სრულ სახაზინო კონტროლზე უარს ამბობს. ხაზინის ერთიანი სისტემის ამოქმედების მოდელი სახეცვლილებას განიცდის. როგორც ჩანს, ნოდარ ხადურის უწყებამ გაითვალისწინა ცალკე ბანკების და ცალკე საჯარო უწყებების პოზიცია.**

2015 წლიდან სსიპ-ებს, ა(ა)იპ-ებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება ექნებათ, დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, იქონიონ ანგარიშები კომერციულ ბანკებში, რომელზეც საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ გადაიტანენ ხაზინაში აკუმულირებულ ჭარბ ფულს. ამ ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები იქნება მათი შემოსავალი და ისინი ამ თანხას საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად განკარგავენ.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, მარეგულირებელი კომისიების გადაყვანა აღარ განხორციელდება სახაზინო მომსახურებაზე და ისინი გამონაკლისთა ჩამონათვალში მოხვდებიან. ასევე წევრობაზე დაფუძნებული სსიპ-ები, თუ ისინი არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე გამონაკლისთა ჩამონათვალში მოხვდებიან და მათი სახაზინო მომსახურებაზე გადაყვანა აღარ განხორციელდება.

თავდაპირველად კი, პარლამენტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას საკუთარი ანგარიში მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში უნდა ჰქონოდა. პირველი პროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, ზოგიერთ სსიპ-ს მიეცემოდა უფლება კომერციულ ბანკში გაეხსნა ანგარიში.

ხაზინის მეშვეობით საბიუჯეტო თანხების მოძრაობის გაკონტროლების ინიციატივა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლოს წამოაყენა. მისი ინფორმაციით, 2015 წლის პირველი იანვრიდან ყველა დონის ბიუჯეტი, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები სახაზინო მომსახურებაზე გადავიდოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ ორგანიზაციებს ანგარიში არა კომერციულ ბანკებში, არამედ ხაზინაში ექნებოდათ და მომსახურებასაც სწორედ ხაზინა გაუწევდა.

„მათ ანგარიში ექნებათ ხაზინაში და ის გაუწევს მომსახურებას. აქამდე ზოგიერთს ჰქონდა კომერციულ ბანკებში, ზოგს კი - ხაზინაში. ახლა მოხდება კონსოლიდაცია, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს, სტატისტიკურად, ინფორმაციულად გვქონდეს პირდაპირი წვდომა, რა მდგომარეობაა საჯარო ფინანსების მართვის თვალსაზრისით“, — აცხადებდა ნოდარ ხადური.



სხვათა შორის, ამგვარი გადაწყვეტილება მთავრობას ექსპერტებმა იმთავითვე მოუწონეს. სსიპ-ების ფულის ხაზინის მეშვეობით მართვას დადებითი მოვლენა უწოდა კონტროლის პალატის ყოფილმა მოხელემ, იურისტმა ლევან ალაფიშვილმა.

„სსიპ-ების სახაზინო მომსახურებაზე გადასვლა, ეს არის გადაწყვეტილება, რომლის მიღებასაც მთავრობას წლების განმავლობაში არაერთი სპეციალისტი ურჩევდა, მათ შორის კი, აუდიტის სამსახურიც. ამ გადაწყვეტილებით ჩვენთან საბიუჯეტო პროცესი რეალურად სისტემურად მოწესრიგდება. საქართველოში საბიუჯეტო მოწყობისა და პროცესის უმთავრესი პრინციპი წლების განმავლობაში დარღვეული იყო, არ არსებობდა კონსოლიდირების პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებას შეეძლებოდა საჯარო ფინანსებისთვის თვალყურის დევნება. ახალი ცვლილება სულაც არ ნიშნავს ამ სსიპ-ების ხარჯვით ნაწილსა თუ ავტონომიურობაში ჩარევას. ამით საჯარო ფინანსების კონსოლიდირება მოხდება“, — აღნიშნა ლევან ალაფიშვილმა.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსთა სამინისტრომ პოზიცია შეიცვალა. ხაზინასთან ერთად, საჯარო უწყებებს კომერციული ბანკების ანგარიშებითაც შეეძლებათ სარგებლობა.

**ბექა დანელია**

ინფორმაცია

## არ დაველოდებოდი, როდის გამაგდებდნენ

**განაცხადა დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, რითაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობას ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილი მართავს.**

**სოზარ სუბარის მტკიცებით, ივანიშვილი მთავრობის მუშაობაში არ ერევა.**

**„ბიძინა ივანიშვილი მთავრობის მუშაობაში არ ერევა და ეს ძალიან კარგად იცის ირაკლი ალასანიამაც. ალასანიას მიმართ, მაშინაც, როცა პრემიერ-მინისტრი იყო ბიძინა ივანიშვილი, მთავრობის სხდომაზე ისმებოდა მწვავე კითხვები, რომელზეც პასუხები არ იყო. ჩემს მიმართ რომ ასეთი კითხვები დასმულიყო და მათზე პასუხები არ მქონოდა, მე პირადად მის ადგილზე, იმავე დღეს წავიდოდი მთავრობიდან და არ დაველოდებოდი როდის გამაგდებდნენ და როდის მომხსნიდნენ. უბრალოდ არ არის სწორი, როცა მას შემდეგ გახსენდება რაღაც, რაც გაგიშვებენ“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.**

**მინისტრს არ დაუკონკრეტებია, თუ რა შეკითხვები ისმებოდა ალასანიას მიმართ და აღნიშნა, რომ ეს თავად მან გაიხსენოს.**



**„ამ ეტაპზე ნატო გადასულია თავისი წევრი სახელმწიფოების დაცვაზე. ჩვენ დაგვჭირდება ძალიან აქტიური მუშაობა იმაზე, რომ შეიქმნას სერიოზული ცენტრი, რომელმაც შეიძლება რუსეთი დააფრთხოს და ჩვენ უსაფრთხოების გარანტია მოგვცეს“, — აცხადებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე, რომლის განცხადებით, ამ ეტაპზე რუსეთი გაცილებით აგესულია, ვიდრე იყო 2-3 წლის წინ.**

**for.ge თორნიკე შარაშენიძეს ესაუბრა.**

# „რუსეთი გრძნობს, რომ საქართველო ამ ეტაპზე სუსტია და ამით სარგებლობს“

**— საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის კენეტ იალოვიცის განცხადებით, არსებობს შეშფოთება, რომ საქართველო არ დაუბრუნდეს იმპულსურ ლიდერებს შორის ყოვლად უსარგებლო კონფრონტაციების ხანას. როგორ ფიქრობთ, რატომ გაჩნდა საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი სახის შეშფოთება, ხელისუფლების ქმედებებში იკითხება, რომ ქვეყანა შეიძლება დაუბრუნდეს ყოვლად უსარგებლო კონფრონტაციების ხანას?**

— საქართველოს ყველა ხელისუფლებას ჰქონდა პრობლემა რუსეთთან. ეს იყო ვერგააზრების პრობლემა. არ იყო გააზრებული სტრატეგია, არასოდეს არ იყო გაწერილი რა უნდა გაგვეკეთებინა, რა მოლოდინი შეიძლება გვქონოდა რუსეთისგან და რა ნაბიჯები უნდა გადაგვედგა ამის საპასუხოდ, ეს გეგმა არასოდეს ჰქონდა ხელისუფლებას შემუშავებული. ყოველივე ამის ფონზე, რაც ახლა ხდება, ვგულისხმობ ე.წ. რუსეთთან მოკავშირეობის ხელშეკრულებას, ახლა მაინც თუ არ მოხდება სტრატეგიაზე სერიოზული მუშაობა, მაშინ რთული სათქმელია საით მივდივართ.

მთელი მსოფლიო ლაგდება რუსეთთან ურთიერთობაში, რუსეთის შესაკავებლად მიმდინარეობს მსოფლიოს მობილიზება. ჩვენ თუ არ შევხტით ამ მატარებელზე და მსოფლიოს თუ არ შევახსენეთ ჩვენი თავი, შემდეგ უკვე გვიან იქნება.

როცა რუსეთი დაამთავრებს აფხაზეთის ანექსიას, მერე იმავეს გააკეთებს სამხრეთ ოსეთში, სადაც გაცილებით იოლი იქნება ეს პროცესი. აფხაზეთისგან განსხვავებით, ცხინვალში მოსახლეობა ქუჩაში არ გამოვა. ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ ამით ყველაფერი დამთავრდება და თავზე ხელებს გადაგვისვამს რუსეთი, არა, ბატონო! მერე წავა სერიოზული მუშაობა იმაზე, რომ საქართველო შეათრიოს ევრაზიულ კავშირში.

**— თქვენ თვლით, რომ სეპარატისტებთან, ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორიობის შესახებ“ ე.წ. შეთანხმების ხელმოწერის მთავარი გზავნილი არის საქართველოს ევრაზიულ კავშირში შეყვანის მცდელობა, მაგრამ ქართველ საზოგადოებაში და მთავრობაში ამ საკითხზე არსებობს ძალიან მკაფიო პასუხი, ჩვენი გზა ეს არის ევროპა...**

— რა თქმა უნდა, რუსეთს ძალიან კარგად ესმის, რომ ჯერჯერობით საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ამას არ დაუშვებს და ამას შეეწინააღმდეგება, ისევე როგორც მთავრობა. მაგრამ, რუსეთი ამისთვის შეამზადებს ნიადაგს. ხედავთ, რომ გააქტიურებული არიან რაღაცა გაურკვეველი ე.წ. არასამთავროები „ევრაზული კავშირი“ და მსგავსი ორგანიზაციები, ისეთი თემები შემოაგდეს საზოგადოებრივი განხილვისთვის, როგორიც არის რუსეთთან დამეგობრება, პუტინთან ჩახუტება, ნეიტრალიტეტი, რომელიც აბსოლუტურად აბსურდია, ეს არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

1920 წელს გამოვაცხადეთ ნეიტრალიტეტი, რომელიც ზუსტად ერთ წელიწადში დასრულდა ჩვენი ანექსიით. 1921 წელს ნეიტრალურები ვიყავით, როდესაც რუსეთმა ჯარები შემოიყვანა. როგორც ჩანს, რუსეთი ელოდება, რომ საქართველოში შიგნით სიტუაცია ნელ-ნელა აურიოს და საზოგადოებრივი აზრი მოატრიალოს თავისკენ, მერე უკვე, დაიწყება სერიოზული ზეწოლა, რომ მთავრობა შევიდეს ევრაზიულ კავშირში. ამისთვის დღესვე თუ არ დაიწყო მზადება მთავარობამ და წინასწარ თუ არ გაწერა სამოქმედო სტრატეგია, რას შეიძლება ველოდოთ, რა საფრთხე საიდან მოდის, მერე ამასთან ბრძოლა გაცილებით რთული იქნება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ გააქტიურდა არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა, გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიებიც. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ, რაც უფრო ვუახლოვდებით ნატოს, მით უფრო ვშორდებით აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს...**

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ბოლო ორ წელიწადში ჩვენ არ დავახლოვებულვართ ნატოს. ნატო-საქართველოს ურთიერთობა გაყინულია, ყოველ წელიწადს იგონებენ რაღაცა ახალი თანამშრომლობის ფორმატს, რომელიც რეალურად ნატოსთან გვაახლოვებს. ჩვენ ვერც დავუახლოვდებით ნატოს, იმიტომ, რომ ეს პროცესი რუსეთმა მას მერე გაყინა, რაც ოკუპაცია მოახდინა ჩვენი ტერიტორიის. ასე



რომ, ბურჯანაძის გამონათქვამებზე და მის წარსულზე კომენტარს არ გავაკეთებ, ეს საერთოდ ცალკე თემაა. სამწუხაროდ, არავითარი დაახლოება ჩვენი ნატოსთან არ მომხდარა. ნატოსთან დაახლოება რომ მომხდარიყო და ნატოს დახმარებით გავძლიერებულიყავით, რუსეთი ამას ვერ გაბედავდა. ახლა ბედავს, იმიტომ, რომ ხედავს სუსტები ვართ.

**— ბურჯანაძის მთავარი გზავნილი არის შემდეგი — რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი არ არსებობს. ამ გზავნილის მიზანი არის დასავლეთის მიმართ იმედგაცრუება და საზოგადოებრივი აზრი, რომ რუსეთის გარეშე საქართველო ვერ შეძლებს ამ პრობლემების მოგვარებას?**

— რა თქმა უნდა, მიზანია მოსახლეობაში გაჩნდეს იმედგაცრუება დასავლეთის მიმართ და შეიქმნას განწყობა, რომ მხოლოდ რუსეთი თუ გვიშველის. ამ პოლიტიკურ პარტიებს ერთ რამეს შევახსენებ, 90-იან წლებში საქართველო მზად იყო ყველაფერზე მოეწერა ხელი, ოღონდ დაებრუნებინა ტერიტორიები, მაგრამ ეს მაშინ, რუსეთმა არ გააკეთა. ეს არ გააკეთა იმ პერიოდში, როდესაც გაცილებით იოლი იყო ამის გაკეთება, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ აფხაზეთის ომი 2-3 წლის დამთავრებული იყო.

ახლა, როცა მთელი თაობა გაიზარდა აფხაზეთში საქართველოს გარეშე, იმ თაობის საქართველოში დაბრუნება გაცილებით რთულია, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც შევარდნაძემ ყველაფერზე მოუწერა ხელი რუსეთს, რათა სანაცვლოდ დაებრუნებინა ტერიტორია, რაც რუსეთმა არ გააკეთა. ნუ გვავიწყდება, რომ ეს იყო ელცინის (რომელიც გაცილებით ლიბერალი იყო) რუსეთი და არა პუტინის რუსეთი.

**— განცხადებების დონეზე შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება?**

— განცხადება არის პოლიტიკის ერთი ნაწილი, მთავარი პოლიტიკა კეთდება განცხადების გაკეთებამდე. მთავარი პოლიტიკა არის აქტიური მუშაობა დიპლომატიური არხებით, კულუარებში მოქმედება. გასაგებია, რომ ბოლო ორ წელიწადში საქართველომ შეძლო რუსული ბაზრის გახსნა, მაგრამ, ამავე დროს, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ საერთაშორისო მიმართულებით ჩვენი საკითხი ამოვარდა დღის წესრიგიდან, ჩვენ არავის არ ვახსოვართ. არ ვიცი, ეს გაკეთდა შეგნებულად, რომ რუსეთი არ გაეღიზიანებინათ, თუ რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში საქართველო არ აინტერესებთ.

ორი წლის წინათ პარლამენტში მზადდებოდა ასეთი პროექტი — საქართველო გახდეს როგორც პრობლემა დასავლეთსა და რუსეთს შორის. ამას ერთი გამართლება ჰქონდა — რუსეთი არ გაგვეღიზიანებინა იმ დონეზე, რომ ახალი აგრესია გამოგვეწვია მისი მხრიდან. ეს გასაგებია და მთავრობამაც ორმხრივი დაძაბულობა ნამდვილად შეანელა, მაგრამ, მეორე მხრივ, მთავრობას არაფერი უშლიდა ხელს, რომ კულუარებში აქტიურად ემუშავა იმისათვის, რომ ჩვენი საკითხი დასავლეთს არ დავიწყებოდა. ჩემი აზრით, ამ მხრივ ძალიან სერიოზული შეცდომა იქნა დაიშვა.

**— ეს იყო შეცდომა თუ ამის პოლიტიკური ნება არ არსებობდა?**

— არ ვიცი, მე ეს ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ. დღეს ნაციონალები მოუწოდებენ მთავრობას, რომ შეუერთდეს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, შორს ვარ ამ აზრისგან, ეს სულ სხვა რაღაცაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, უნდა შევეშვათ თავის მოტყუებას. მთელი მსოფლიო, გერმანიის ჩათვლით, რომელიც აქამდე თავს იტყუებდა და ცდილობდა, დაელაგებინა ურთიერთობა რუსეთთან, გონს მოდის. ჩვენც მოვიდეთ გონს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ომი გამოვუცხადოთ რუსეთს — არა, ეს გულისხმობს იმას, რომ გავააქტიუროთ მუშაობა დიპლომატიურ კულუარებში და ჩვენს დასავლელ მეგობრებს ჩვენი თავი გავახსენოთ.

ამის ერთი ნიშანი გამოჩნდა პრემიერის ბრიუსელში ვიზიტის დროს, როდესაც განაცხადა, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები ეს არის 2008 წლის ომის გაგრძელებაო. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალშიც გაგრძელდება მსგავსი დატვირთვის განცხადებები. ჩვენ მარტო ერთი-ერთზე რუსეთთან ურთიერთობას ვერ დავალაგებთ. რუსეთს მიაჩნია, რომ შენ უნდა იყო მისი გავლენის სფერო. სანამ რუსეთი ფიქრობს, რომ საქართველოს გარეშე რუსეთის იმპერია სრულყოფილი ვერ იქნება, მანამდე ერთი-ერთზე მასთან ურთიერთობას ვერ დავალაგებთ.

**— თებერვალში დაგეგმილია ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალი, სწორედ ამ მინისტერიალზე გახდება ცნობილი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული დეტალები. როგორ ფიქრობთ, რუსეთის მხრიდან ეს დესტრუქციული ქმედება პირდაპირ კავშირშია საწვრთნელი ცენტრის შექმნასთან?**

— ეს არის მხოლოდ საბაბი მათი მხრიდან. როდის გაკეთდება ნატოს საწვრთნელი ბაზა და რა ფორმით, ეს არავინ ვიცით. მაგრამ, ეს ცენტრი რუსეთს საფრთხეს ვერ შეუქმნის და ამას რუსეთში ძალიან კარგად ხვდებიან. გავიხსენოთ რა ხდებოდა უელსის სამიტამდე, ხდებოდა მავთულხლართების აგება, საოკუპაციო ხაზის გადმოწევა და ა.შ. ღმერთმა ქნას, რომ ამ საწვრთნელმა ცენტრმა რუსეთი დააფრთხოს. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ არ მგონია, რომ ჩვენთან ისეთი საწვრთნელი ცენტრი შეიქმნას, რომ რეგიონში სიტუაცია რადიკალურად შეცვალოს.

ამ ეტაპზე ნატო გადასულია თავისი წევრი სახელმწიფოების დაცვაზე. ჩვენ დაგვჭირდება ძალიან აქტიური მუშაობა, რათა შეიქმნას სერიოზული ცენტრი, რომელმაც შეიძლება რუსეთი დააფრთხოს და ჩვენ უსაფრთხოების გარანტია მოგვცეს. ასე რომ, არ მგონია, ეს შეთანხმება უკავშირდებოდეს ნატო-საქართველოს ურთიერთობას. ამ ეტაპზე რუსეთი არის ძალიან აგრესული, გაცილებით აგრესული, ვიდრე იყო 2-3 წლის წინათ. როგორც გითხარით, რუსეთი გრძნობს, რომ საქართველო ამ ეტაპზე სუსტია და ამით სარგებლობს.

**თამთა ქარჩავა**

## კაკალ გულში

### წერტილოვანი ფრაზები

**● ერთიანი ნაციონალური თავისუფალი რესპუბლიკელები.**

**● პიონერთა სასახლის ბაღში, ერთ კაი კორპუსს ჩადგამდა კაცი.**

**ქვეყნის აღორძინებისთვის, რასაკვირველია.**

**● საქართველოს პარლამენტი, ვაიმეე ვაიმეეეე ვაიმეეეეეე. . . .**

**● მიშა მოწმე ხარ, ბიჭოო?**

**● ჩინური დედა ენა დავაბარე, ჩინური კეტები არ მომიტანეს... ალიბეგაშვილო, გეყურებააა!**

**● მაგრად ტეხავს! არა მგონია, რაიმე პოლიტიკურ ქულებს ძენდეს თითქოს რეიტინგულ პოლიტიკოსს. სანამ მინისტრი იყო, თურმე მანამდე თავად დამოუკიდებელი ყოფილა და ახლა ყველაფერი შეტრიალდა. მხოლოდ ერთი კაცი მართავს მთელ სამყაროს, ტეხავს, რა მაგრად ტეხავს. მორჩით, დაასრულეთ ხალხის დაბოლება და ტყუილებით კვება, ერთი ერთში ნაცნალური ტექსტებია...**

**● ამ ქალაქში მწვანე ბალახზე კი არა, მწვანე შუქზეც ვეღარ გაივლი!**

**● აღზრდის პრობლემა დგას ქვეყანაში, სწორად აღზრდის პრობლემა. გაუნათლებელი „ინტელექტუალები“ თავხედობენ ხშირად!**

**გამახსენდა, ჭაობთან მცხოვრები ბულბული, რომელიც გამუდმებით ყიყინებდა. მგალობელ ბაყაყებს მიაქვს ქვეყანა!**

**● ბოლო 2-3 წელი თბილისის მერიაში იყო მცდელობა, თბილისის ბიუჯეტის ხარჯვასა და ქალაქის განვითარებაში თბილისელების ჩართვის რამდენიმე ინსტრუმენტი დაენერგათ: (1) გარდა ბიუჯეტში დაგეგმილი ხარჯებისა, თბილისის უბნებისთვის გათვალისწინებული იყო 300 ათასი ლარი და იქ მცხოვრებლებს უნდა გადაეწყვიტათ რაში დახარჯავდნენ ამ ფულს; (2) ზოგიერთ ბიზნეს მიმართულებას შევთავაზეთ, თვითონ გადაეწყვიტათ რაში დახარჯულიყო მათ მხარდასაჭერად ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა; (3) ბიზნესები გაერთიანებულიყვნენ გეოგრაფიული არეალის მიხედვით და საჭიროებზე შეთანხმების შემთხვევაში ქალაქის მერია მიეხმარებოდა მათ თანადაფინანსებით.**

**როგორც იდეის ავტორისგან ვიცი, დიდი წარმატება ამ წამოწყებას არ მოყოლია და ეს არ იყო თბილისელების ბრალი. ბიუროკრატიამ და პოლიტიკურმა ნებელობამ გააჩერა ეს ვითარება. როგორ ფიქრობთ, თბილისის განვითარებაში ასეთი თანამონაწილეობისთვის დღეს ვართ მზად თბილისელები?**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

## ალიან-ჩალიანი

### მოსკოვთან ულტიმატუმის ენით საუბარი უპერსპექტივოა

**ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა თურქეთში ვიზიტამდე, თურქულ საინფორმაციო სააგენტო, „ანადოლუ“-სთან ინტერვიუში განაცხადა.**

**რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ცალმხრივი სანქციები, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა, იაპონიამ და ავსტრალიამ რუსეთის წინააღმდეგ მიიღეს, არალეგიტიმურია. „მოსკოვთან სანქციებისა და ულტიმატუმების ენაზე საუბარი უპერსპექტივოა. ასეთი ზეწოლა, ეკონომიკური ზიანის გარდა, საერთაშორისო სტაბილურობას საფრთხეს უქმნის“, — განაცხადა პუტინმა.**

**მისივე განცხადებით, წამყვანი დასავლელი კომპანიების ხელმძღვანელები, რომლებიც რუსეთში მუშაობენ, სანქციებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოხატავენ, თუმცა, მზადყოფნას გამოთქვამენ თანამშრომლობა გააგრძელონ.**

**ინტერპრესი**

№242. შაბათი, 29 ნოემბერი, 2014 წელი.

# გოგა ხაინდრავა:

# ვფიქრობ, მსგავსი საპროტესტო აქცია რუსეთისთვის ცოტა მოულოდნელიც კი იყო

**მოსკოვსა და სოხუმს შორის „სტრატეგიული მოკავშირეობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის მიზნებსა და შედეგებზე, ასევე მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის შესაძლებლობაზე, საქართველოში მოსმენების შესახებ კანონპროექტის განხილვასა და და ე.წ გასაღების საკითხზე, შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა კინოდოკუმენტალისტსა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში ყოფილ სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავას.**

**– ბატონო გოგა, როგორ შეაფასებდით სოხუმსა და რუსეთს შორის გაფორმებულ ე.წ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას? კონკრეტულად რა უნდა დაუპირისპიროს მოსკოვის ამ ნაბიჯს საქართველოს ხელისუფლებამ? ოფიციალური თბილისი მოახერხებს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ჯეროვნად მიპყრობას ამ პრობლემისადმი იმ ფონზე, რომ დასავლეთი უკრაინის აღმოსავლეთით მიმდინარე მოვლენებით არის დაკავებული?**

– ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდ ცილისწამება, რომელიც ამასთან დაკავშირებული იყო, თითქოს საქართველომ დათმო საკუთარი პოზიცია, არ შეესაბამება სიმართლეს. ეს ორი დღეა, გულდასმით ვათვალიერებ უცხოურ პრესას და პრაქტიკულად არ დარჩა არც ერთი სერიოზული გამოცემა, არც სახელმწიფო და არც გაერთიანება, ვისაც ამის შესახებ განცხადება არ გაეკეთებინოს. ყველგან იყო ციტირება საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებისა ამ საკითხთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ასეთი აქტიური და მსგავსი საპროტესტო რეაქცია რუსეთისთვის ცოტა მოულოდნელიც კი იყო. დარწმუნებული ვარ, რუსეთი არ ელოდა ასეთ მძაფრ რეაქციას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ეს ჩვენთვის უკვე ძალიან მნიშვნელოვანია.

იმის გამუდმებული მტკიცება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მოდუნდა ყურადღება საქართველოსადმი, არ არის მართალი. ყურადღება არც სამომავლოდ მოდუნდება – საქართველოს ხელისუფლების აქტივობა არ დამცხრალა და არც დაცხრება არასოდეს, მე ამაში დარწმუნებული ვარ. იმიტომ რომ ეს არის ქართველი ხალხის ნება. დღეს, როგორც არასდროს, ხელისუფლება საზოგადოების აზრს წარმოადგენს და საზოგადოებას უსმენს. 60 წლის ვხდები და ჯერ ასეთი მთავრობა საქართველოში არ მახსოვს. როგორც წესი, ხელისუფლება იყო ბატონი და ყველა დანარჩენი – ყმები. დღეს უფრო ყმა მთავრობა მგონია და – ბატონები საზოგადოება. სხვა საქმეა, თუ მოთხოვნა უფრო დიდია და იგი არ კმაყოფილდება, მაგრამ ასეთი აქტიური საზოგადოება და ამდენად მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში მყოფი ხელისუფლება საქართველოში ცოტა მახსოვს.

მეორე მხრივ – სერიოზული კითხვა ისმის, რისთვის გადადგა რუსეთმა ეს ნაბიჯი. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მიზანი იყო ის, რომ უკრაინის ისედაც გამწვავებული ვითარების ფონზე რუსეთმა იფიქრა, ამასაც, ანუ აფხაზეთსაც მოაგვარებდა. რუსეთი ყოველთვის ზღვარზე თამაშობს. რეალურად, დე ფაქტოდ, რაც ხელშეკრულებაში წერია, ყველაფერი განხორციელებულია. აფხაზეთში ფული რუსულია, ჯარი რუსულია და საზღვრებზე რუსები დგანან, ასევე – კანონები. სხვა ატრიბუტი, გარდა დროშისა, აფხაზებს არაფერი გააჩნდათ მთელი ეს პერიოდი და არც ახლა გააჩნიათ.

ერთი საინტერესო დეტალი მინდა გამოვყო – იმის მიუხედავად, რომ ორი დღეა, ვრცელდება ინფორმაცია ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, თვითონ ხელშეკრულების ტექსტი არ გამოქვეყნებულა. ჩვენ ვიცით რუსული და აფხაზური ვარიანტი, ის შესწორებები, რომლებიც აფხაზებმა შეიტანეს, მაგრამ არ ვიცით, რას მოეწერა ხელი. ამას ვუკავშირებ იმას, რომ, ალბათ, ეს სახარბიელო ტექსტი არ არის აფხაზებისთვის. რუსეთი არასოდეს არ თმობს იმას, რასაც იღებს. ასეთი პრეცედენტი ისტორიას არ ახსოვს. ჩვენი მხრიდან რაიმე ღია კარის მტვრევას აზრი არ აქვს, რადგან დამოუკიდებლად საქართველოს დღეს უნარი არ შესწევს, რეალურად რაიმე შეცვალოს ამ ვითარებაში. საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, კი ბატონო, თუმცა, ამჟამად ამისთვის კარგი მომენტი ნამდვილად არ არის. საერთაშორისო საზოგადოებას ისეთი წყლულები აქვს დღეს უკრაინის, სირიის და ერაყის სახით, რომ არ მგონია, მაინცდამაინც ეცალოს საქართველოსთვის. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ გამოხმაურება და პროტესტი იყო მაინც ძალიან სერიოზული, რაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

**– ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ოფიციალურმა მოსკოვმა წინა პლანზე აფხაზეთის რკინიგზის თემა წამოსწია. პუტინის განცხადებით, რუსეთი მზად არის, აფხაზეთის რკინიგზის პროექტის რეალიზებას ორგანიზება გაუწიოს. მას მოჰყვა მისი თანაშემწე სურკოვის განცხადება, რომ თბილისი აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის წინააღმდეგი არასოდეს ყოფილა. როგორ ფიქრობთ, არსებულ ვითარებაში თბილისი უნდა დათანხმდეს თუნდაც კონსულტაციების დაწყებას რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთთან დაკავშირებით?**

– მოლაპარაკებები ყველა თემაზე უნდა მიმდინარეობდეს. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსული სამხედრო არმადა ბერლინის მისადგომებთან იდგა, მოლაპარაკებები მაშინაც კი მიმდინარეობდა. მოლაპარაკებები არ შეწყვეტილა უკრაინასა და რუსეთს შორის მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის ღია მცდელობაა. კაცობრიობას სულ ორი გზა აქვს მოგონილი – მოლაპარაკებები და ომი. მესამე გზა არ არსებობს. რაც შეეხება რკინიგზას, ეს ვარიანტი დღეს რეალური არ არის მარტივი მიზეზის გამო –- დღეს დიპლომატიური ურთიერთობები არ არის ორ ქვეყანას შორის. ამიტომ ამ თვალსაზრისით რაიმე ოფიციალური შეთანხმებები არის აბსოლუტურად გამორიცხული. თავისთავად პროცესი, სადაც შესაძლებელია, გაარკვიო, რისი დამთმობია რუსეთი, რა პოზიცია უკავიათ აფხაზებს და რა პოზიცია შეიძლება დაიკავოს საერთაშორისო თანამეგობრობამ, თემის მოსასინჯად შეიძლება.

ჩემი მინისტრობის დროს ძალიან აქტიური იყო. მეტსაც გეტყვით – ჩვენ აფხაზებთან და რუსეთთან შეთანხმებასაც მოვაწერეთ ხელი, თუმცა, ეს 2008 წლის ომამდე იყო. მაშინ აფხაზური და ქართული ჯგუფები ერთად მუშაობდნენ რკინიგზის რეაბილიტაციისთვის. მაშინ ეს აქტიური თემა იყო, თუმცა, დღეს ვფიქრობ, რომ საკითხი არსებობს, მაგრამ არა დღის წესრიგში.

**– გარდა რუსეთისა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ სომხეთის ფაქტორიც, რომელიც ძალიან დაინტერესებულია მოსკოვი-სოხუმი-თბილისი- ერევნის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენით. ასევე ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოსკოვიდან იქნება ზეწოლა, რათა ქართული მხარე რკინიგზასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს დათანხმდეს.**

– არანაირი ზემოქმედების ბერკეტი ეს ნამდვილად არ არის. იმ შემთხვევაში, თუ პრინციპული შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის შედგა, სომხეთი ამ შემთხვევაში პასიური თანამონაწილეა და არა – აქტიური. მისი აქტიურობა არაფერს შეცვლის მოლაპარაკებებში. ჩემი აზრით, აფხაზეთის რკინიგზა დააბრუნებს ქართველ ლტოლვილებს და აფხაზებსაც გაუხსნის გზას მსოფლიოში დასაბრუნებლად, მაგრამ ეს არ არის



დღევანდელი დღის წესრიგის პროექტი. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ აღდგება ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის და შევთანხმდებით იმ პირობებზე, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის და, ამავდროულად, რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ინტერესების გათვალისწინებით. არც ერთი საკითხი შეთანხმებადი არ არის, თუ ჩვენ თავიდანვე არ გავითვალისწინებთ აფხაზების ინტერესებს. მაგრამ რაიმე სახის მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის უნდა მოხდეს, რადგანაც ორი ლეგიტიმური ქვეყანა, რომელიც მთელი მსოფლიოს რუკაზე არსებობს, დე იურე და დე ფაქტო, არის რუსეთი და საქართველო.

**– თუ აფხაზეთის რკინიგზასთან დაკავშირებით ქართული მხარე კონსულტაციებს დათანხმდა, კონკრეტულად რა დივიდენდებს მიიღებს ოფიციალური თბილისი და ხომ არ გადასწონის ეს მოსალოდნელ უარყოფით პოლიტიკურ შედეგს. თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ ქართველებმა თბილისი-სოხუმი-მოსკოვის მატარებლით იმგზავრეს, სად არის გარანტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მათ საფრთხე არ დაემუქრებათ?**

– უწინარესად, ყველა ხელშეკრულებასა და სახელმწიფო ქმედებაში ქვაკუთხედი არის ადამიანი და ადამიანების ბედი. ის, რომ ჩვენს შორის, ანუ აფხაზებსა და ქართველებს შორის იყო ომი, მივიწყებას მიეცემა. ორი ისეთი ერი არ არსებობს, რომელთა შორისაც დაპირისპირება არ მომხდარა. რკინიგზის ამოქმედების პირველი ამოცანა უნდა იყოს სწორედ ადამიანური ურთიერთობების აღდგენა. მაგრამ ეს შეუძლებლად მიმაჩნია, ვიდრე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ აღდგება და გარკვეული არ იქნება, რაზე არ დავიხევთ ჩვენ უკან და რაზე არ დაიხევს რუსეთი უკან.

რაც შეეხება საფრთხეებს რკინიგზის აღდგენის შემთხვევაში, შეუძლებელია, რკინიგზა აღდგეს და ადამიანების ურთიერთობა – არა. რკინიგზა ადამიანებმა უნდა გამოიყენონ. ასე რომ, საფრთხეებს ვხედავ მხოლოდ იმაში, რომ ნელ-ნელა არ შემოგვიცურონ, ასე ვთქვათ, თვითაღიარების პროცესი. სხვა ყველა მხრივ რკინიგზის აღდგენა დადებითი მოვლენა იქნება.

**– მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტი ორ კანონპროექტზე მსჯელობს – ბესელია -ფოფხაძის ვარიანტი და ვახტანგ ხმალაძის ვარიანტი. თქვენ რომელი ვარიანტი მიგაჩნიათ მისაღებად, რომელი მათგანი უზრუნველყოფს, რომ, ერთი მხრივ დაცული იყოს ადამიანის უფლებები და, მეორე მხრივ, ქვეყნის უშიშროებას საფრთხე არ დაემუქროს?**

– მე ყველა გადაწყვეტილება მისაღებად მიმაჩნია, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს უპასუხებს. ვფიქრობ, რომ დღეს როგორც უმრავლესობაში, ასევე ქვეყანაში, სამწუხაროდ, დეფიციტია სახელმწიფოებრივი აზროვნების. ძალიან პოპულარულია ადამიანის უფლებების თემა, რომლითაც ძირითადად აპელირებენ პოლიტიკოსები, როგორც საპარლამენტო უმრავლესობა, ისე უმცირესობა. ადამიანის უფლება არ არის მხოლოდ ის, რომ არ მოუსმინონ ტელეფონით. ადამიანის უფლებაა ისიც, რომ არ ააფეთქონ, მისი უსაფრთხოება იყოს დაცული. მიუხედავად იმისა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობები გვაქვს ჩვენს რეგიონში მეზობელ სახელმწიფოებთან, მსგავსი რამ მთელ მსოფლიოში ხდება – როდესაც მოკავშირე ქვეყნები ერთმანეთს უსმენენ. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ამერიკელები ანგელა მერკელს უსმენდნენ. ამიტომ ის დამოკიდებულება, რომელიც მესმის პარლამენტიდან და, თუნდაც საპარლამენტო უმრავლესობიდან, ჩემთვის არის სრულიად გაუგებარი. მე ყველას მოვუწოდებ, ჯერ საკუთარი გასაღები იპოვონ და შემდეგ შეუდგნენ სხვა გასაღების ძებნას. უნდა გვახსოვდეს, ჩვენი სატელეფონო პროვაიდერები რომელ ქვეყნებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, კეთილგანწყობილი არიან ჩვენდამი რეგიონში თუ არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ სერიოზული სადაზვერვო ინტერესები აქვთ საქართველოში. ეს არც არის გასაკვირი. ეს რეგიონი არის მსოფლიო ინტერესის სფერო. ამ შემთხვევაში პირადად მე, გოგა ხაინდრავას, მირჩევნია თუნდაც მისმინონ, მაგრამ უსმინონ მათაც, ვინც შეიძლება სერიოზული ზიანი მოუტანოს ქვეყანას. იმ შემთხვევაში, თუ მოსმენით ჩემი უფლებები პატარაზე დაირღვევა, არაფერი დაშავდება, რადგან 9 წლის მანძილზე ისე ირღვევოდა ჩემი უფლებები, რომ მეტი არ შეიძლებოდა, მაგრამ ვერაფერი ვერ დამაკლეს. მთავარია სწორი სახელმწიფო სისტემა, რომელსაც საზოგადოება აკონტროლებს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ საზოგადოება დაუშვებს იმას, რაც ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში ხდებოდა, მაშინ დაანებონ საპარლამენტო საქმიანობას თავი და წავიდნენ სახლში. მე გამოვდივარ სახელმწიფო ინტერესიდან, რადგანაც სახელმწიფო ვართ მე, ჩემი ოჯახი, ჩემი მეზობელი და ყველა მოქალაქე. საფრთხე, რომლის წინააღმდეგაც იქნება მიმართული ეს მოსმენები, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ეს მოსმენები შეიძლება იყოს ჩემთან მიმართებაში. ერთი გასაღები უნდა დარჩეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში.

ჩვენ ყველა ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ უკანონოდ მოსმენა იყოს შეუძლებელი. თუმცა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მაინც განხორციელდება მოსმენა. როგორი გასაღებიც არ უნდა შეიმუშავონ ლაშა ტუღუშმა, თინა ხიდაშელმა, ვახტანგ ხმალაძემ (იმ სამ ორგანიზაციაზე აღარ ვლაპარაკობ, რომლებიც კაცმა არ იცის, საერთოდ ვის ემსახურებიან, მე ვგულისხმობ კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარიას), მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ რა გასაღებიც არ უნდა გამოიგონონ, უკანონო მოსმენები მაინც იქნება. მთელ მსოფლიოში არის უკანონო მოსმენები, ამერიკის შეერთებულ შტატებში არის მოსმენები. ამიტომ, არგუმენტები, რომელიც დღეს მესმის, არის სასაცილო, ეს არის პოლემიკისთვის და იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი დემოკრატები არიან. მეც მინდა, რომ „დემოკრატიის დიდ მწვერვალს“ წარმოვადგენდეთ, მის „ოლიმპზე“ ვიყოთ. მე მაინც ქვემოდან, სიბნელიდან შევხედავ საკითხს. ის ძალები ბნელი ძალები არიან, ვინც ჩვენ საფრთხეს გვიქმნის.

რაც შეეხება ამ სამ არასამთავრობო ორგანიზაციას , მოსმენები მერაბიშვილის დროს იყო თუ იყო, და რაღაც არ მახსენდება, გასაღების გამორთმევის თემა დამდგარიყო სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის ან თუნდაც კუბლაშვილის წინაშე. ის გასაღები, რაც მათ ჰქონდათ, ჩვენს სიცოცხლეს აღებდა და კეტავდა. ასე რომ, კონკრეტულ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში ვფიქრობ, რომ უბრალოდ სხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან გვაქვს საქმე.

**– „რესპუბლიკელები“ ხმალაძის კანონპროექტს უჭერენ მხარს. თქვენი აზრით, ასეთი აზრთა სხვადასხვაობა უმრავლესობაში სამომავლოდაც გარკვეული ტენდენციების სახეს ხომ არ მიიღებს და მმართველ გუნდს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას პრობლემები ხომ არ შეექმნება?**

– ამ პროცესებში რაიმე საგანგაშოს ვერ ვხედავ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კოალიციაა, აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივი პროცესია. იქ არის ბევრი ფრაქცია და ფრაქციებს აქვთ საკუთარი მოსაზრებები. ამ შემთხვევაში მათი პოზიცია არის მცდარი და, ჩემი აზრით, პოპულისტური და საერთო პოლიტიკურ კონტექსტში არასასიამოვნო. როგორც კი რაიმე პარტიული უკმაყოფილება იწყება, მაშინვე სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირადი ინტერესები დგება და ამის მაგალითია „თავისუფალი დემოკრატები“. ორი დღის წინათ მე მაია ფანჯიკიძის განცხადება მოვისმინე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არ შეხვდა ლონდონში ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს. ეს არის არაპროფესიონალიზმის და ვიწრო პარტიული ინტერესების ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დაყენების მაგალითი. ვინ ვინ და, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა უნდა იცოდეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მსგავსი დონის შეხვედრები შემთხვევით არ ხდება. შემთხვევით მხოლოდ შალახოს შეკვეთა შეიძლება საერთაშორისო ფორუმებზე. ღარიბაშვილის კბენას როცა აპირებთ, ღარიბაშვილს კი არა, ქვეყანას კბენთ და ამ კბენას ყველა ჩვენგანი გრძნობს. კოალიცია არ არის ერთი მთლიანი ორგანიზმი და შიგნით რომ აზრთა სხვადასხვაობა იყოს, საფრთხის შემცველად არ მიმაჩნია. მთავარია, ეს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში არ გადაიზარდოს. მე მგონია, რომ დღეს ქვეყნის წეწვაგლეჯა მიმდინარეობს ყველა მხრიდან. ნაციონალები რასაც აკეთებენ, ეს ყველამ ვიცით, აგერ „თავისუფალი დემოკრატების“ ნაბიჯი ვნახეთ. დაწყებულია რკინიგზაში პროტესტი და აქტიურობენ პროფკავშირები. მე რაღაც არ გამიგია, რომ აქამდე პეტრიაშვილს ადამიანის და მშრომელების უფლებები დაეცვას. განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე. გასაგებია, რომ ის პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნავს. გრანტები მოდის უცხოეთიდან და მათი ათვისებაც ეხერხება. გაფიცვა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიც არის რკინიგზა, ფოსტა ან საჰაერო ტრანსპორტი, თუ ეს ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას არ წარმოადგენს, ძალიან საეჭვოა. რამდენიმე კაცმა რკინიგზა არ უნდა გადაკეტოს იმიტომ, რომ ის მთელ ქვეყანას ეკუთვნის და ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას საბოტაჟის სუნი ასდის.

**ჯონი პატარკაციშვილი**



საქართველოს რესპუბლიკა

# რამ უბიძგა აფხაზეთს ხელშეკრულებისკენ?

**რუსეთ-აფხაზეთს შორის გაფორმებული „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შეთანხმებას 24 ნოემბერს მოეწერა ხელი. ხელმოწერის ცერემონიალი, სხვა მსგავს ღონისძიებებთან შედარებით, იყო საკმაოდ მოკრძალებული და პომპეზურობას მოკლებული.**

დოკუმენტის მნიშვნელობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი – რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერა – იყო, არის და იქნება, უპირველესი რამ, რასაც აქცევენ და მომავალშიც მიაქცევენ ყურადღებას.

ძნელად გასაზიარებელია მტკიცება იმისა, რომ ამ დოკუმენტს არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს ან თუნდაც ის, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი – საერთაშორისო სამართალი, როგორც ასეთი, დღეს იდგამს ფეხს და ვინ იცის, როდის წამოიჩიტება ან როდის დადგება ის დრო, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმებს დიდიც და პატარაც (ქვეყნები მაქვს მხედველობაში), სუპერიც და არასუპერიც პატივს სცემს და თავისი მოქმედებით არაფერს ავნებს მას. მუდამ დაიცავს მის მოთხოვნებს და წამითაც არ დაუშვებს ოდნავ გადახვევასაც კი.

დღეს, როდესაც სუპერსახელმწიფო აშშ, საკუთარი მიზნების მისაღწევად, დემონსტრაციულად გვერდს უვლის საერთაშორისო სამართლის უმთავრეს გარანტორს – გაეროს უშიშროების საბჭოს, მისი რეზოლუციის გარეშე ცდილობს „მოაწესრიგოს“ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხანძრის ჩაქრობა და ნაცვლად ამ კეთილშობილური საქმისა, თვით ხდება ვითარების კიდევ უფრო დამძაბველი, წყლის ნაყვაა საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე ლაპარაკი.

თვალი გადავავლო თუნდაც ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ომისა და მშვიდობის კუთხით. რა მიიქცევს ჩვენს ყურადღებას? – უპირველესად, აშშ-ის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე ომის გაჩაღება. როდესაც მსოფლიოს პირველი სახელმწიფო, თავისი ქცევით, აკნინებს გაეროს უშიშროების საბჭოს უმთავრეს მოვალეობას – ომისა და მშვიდობის საკითხების დარეგულირებას – საერთაშორისო სამართალი ვერასდროს იზეიმებს.

როგორც ჩანს, პრაქტიკიდან გამომდინარე, 21-ე საუკუნეც ისეთივე „ცივილიზებული“ იქნება საერთაშორისო სამართლის დაცვის თვალსაზრისით, როგორიც წინა საუკუნეები. ამ საუკუნეშიც დიდი პატივით ისარგებლებს ძალა, ქვეყნის ძლიერება, განსაკუთრებით ბირთვული. გაქვს ძალა, ანუ მაღალი ხარისხის შეიარაღება და გყავს გაწვრთნილი არმია – ანგარიშგასაწევი ქვეყანა ხარ. გაქვს ბირთვული იარაღი – ნიშნავს იმას, რომ „უბატონოდ“ ხმას ვერავინ გაგცემს, ანუ საერთაშორისო სამართალი ყოველთვის შენს მხარეს იქნება.

დღეს ძალის, სამხედრო ძალის ზეიმია და არა საერთაშორისო სამართლის. ასე იქნება მარადიულად, ვიდრე იარსებებს ცნება – ჩემი და შენი; ვიდრე იქნება თუნდაც ერთი თოფი; ვიდრე არ შეიცვლება, არ გადასხვაფერდება ჩვენი, ყველას ერთად, აზროვნება და თუ ამას ელირსება კაცობრიობა, აი მაშინ შეიძლება ბრტყელ-ბრტყელი წინადადებების ფრქვევა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით.

დღეს, როდესაც მსგავსს ჩანასახშიც არ აქვს ადგილი, ღიმილის მომგვრელია ლაპარაკი – საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე. დღეს, როდესაც ნებისმიერ „დიდს“ (სახელმწიფოს) საკუთარი ხელით ჩადენილი დანაშაული სამართლიანად მიაჩნია და ამ სამართლიანობის დამადასტურებელი „ფაქტებიც“ უხვად აქვს, როდესაც ერთი სუპერი, მეორეს საერთაშორისო სამართლის დარღვევაში ადანაშაულებს, საკუთარი დანაშაულის ფონზე, უხერხულად ჩანს, უფრო სწორად გულუბრყვილოდ, საერთაშორისო სამართლის მოშველიება.

ასე რომ, აშშ-ს რუსეთი მიაჩნია საერთაშორისო სამართლის უხეშ დამრღვევად, მაგრამ რუსეთსაც იგივედ მიაჩნია აშშ და თანაც არაერთ შემთხვევაში. ამერიკა თვლის, რომ რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულება ფარატინა ქაღალდია, მაგრამ ამით რა, დაინგრა ქვეყანა? რუსეთის ხელისუფლებას გული გაუსკდა და შეცდომის აღიარებისთვის მოემზადა? არც არაფერი. დღეს ამერიკა გაკილავს რუსეთს, ხვალ რუსეთი – ამერიკას და ბარი-ბარში იქნებიან.

საქართველოსთვის აშშ ომს არ დაუწყებს და ვერ დაუწყებს რუსეთს, ვინაიდან რუსეთსაც იმდენი ბირთვული იარაღი აქვს, რამდენიც აშშ-ს. უკრაინისთვის არ დაუწყია და მტკაველი საქართველოსთვის დაუწყებს?!

გრიგალს, ქარიშხალს, ცუნამს – მეტი რა შეიძლება ითქვას იმ აზობოქრებული სულის შესახებ, რაც ხდებოდა საქართველოს პოლიტიკოსებსა და მედიაში 24 ნოემბრამდე. ეს ფორიაქი მომავალშიც გაგრძელდება და ერთი თვის თავზე ისე ჩაწყნარდება, თითქოს არც ყოფილა. დავითაიაც დაწყნარდება, ქარდავაც, ნაცი ლიდერი ბაქრაძეც, სხვებიც და ახალ 2015 წელს ისეთი სიხარულით შეეგებებიან, როგორც აქამდე.

საქართველოც იქნება, ოღონდ შეკვეცილი, რუსეთიც და აფხაზეთიც – ამჯერად რუსეთთან ჩახუტებული, თუმცა, რაღა ამჯერად, 23 წელიწადია ასეა, რისი დანახვაც საქართველოს არ უნდა. მაგრამ ერთია,



სურვილი დაუნახაობისა და მეორეა, ფაქტი, ანუ რეალობა. და ეს რეალობა, ჩვენდა სამწუხაროდ, მწარეა.

საქართველოს 24 ნოემბერს არ დაუკარგავს აფხაზეთი. საქართველომ აფხაზეთი 1992 წლის აგვისტოში დაკარგა, როდესაც ქვეყნის მეთაურის ბრძანებით - სახალხო ლაშქარმა გადაიარა ავტონომიის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი და აფხაზეთში შევარდა.

ცხადია, საბჭოთა კავშირის შექმნამდე და შექმნის შემდეგ, 1992 წლამდე მთლად დალაგებულად არ იყო ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა. ქართველი პოლიტიკოსები და ისტორიკოსები ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ გააფხაზებული აფსუები, მხოლოდ მე-17 საუკუნეში გადმოსახლებულები მთებიდან ზღვის სანაპიროზე, არ იყვნენ იმ მიწა-წყლის ბატონ-პატრონები, რასაც იჩემებდნენ. სხვა იყო აფხაზ მეცნიერთა შეხედულება, მაგრამ, ასე თუ ისე, 70 წელიწადი საბჭოთა პერიოდისა, მშვიდობიანად განვლეს. არც საბჭოთა ეპოქის დასასრულის ჟამი იყო ისეთი, ომი რომ გამოეწვია.

გონიერებისა და ჭკუის შემთხვევაში გაცილებით იოლად შეიძლებოდა ვითარების განეიტრალება. ვიმეორებ – გონიერებისა და ჭკუის შემთხვევაში, რაც იმჟამინდელ ხელისუფალთ არ აღმოაჩნდათ. მე არ შევუდგები აფხაზთა მხრიდან ჩადენილ შეცდომათა აღწერას, მაგრამ ჩვენსაზე ვიტყვი, რამეთუ მათი თავიდან აცილების შემთხვევაში 24 ნოემბერიც არ იქნებოდა.

აი, ზოგიერთი მათგანი: 1992 წელს თბილისის მიერ ომის წამოწყება; გამსახურდიას ხელისუფლების დროს რუსეთთან გაუარესებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესება; დსთ-ში გაწევრებაზე უარის თქმა და მხოლოდ აფხაზეთში ომის წაგების შემდეგ ამ ორგანიზაციაში შესვლა. არადა, გაცილებით უმჯობესი იყო ამ გადაწყვეტილების ადრე მიღება.

1995 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიის (სხვა ავტონომიებთან ერთად) არდაფიქსირება, აფხაზეთთან დაწყებული დიალოგის არასერიოზულად წარმართვა. ყოველგვარ სერიოზულობას იყო მოკლებული ჯაბა იოსელიანის, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის წარგზავნა აფხაზებთან მოლაპარაკებაზე.

აფხაზებთან მოლაპარაკების დროს, აფხაზთა მხრიდან დაყენებულ საკითხებზე თანხმობის მიცემა, ხოლო შემდეგ დაპირების შეუსრულებლობა. აფხაზთა გასაღიზიანებლად ხან მარულის გამართვა, ხან ჩეჩენი გელაევის და მისი რაზმის კოდორში გადაყვანა. დსთ-ს მეშვეობით, განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფლების დახმარებით, აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის შემოღება, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგების უგულებელყოფა. მოლაპარაკებების დროს გამოკვეთილი სოხუმის პოზიციის სრული იგნორირება. და რაც მთავარია, 1992 წელს (ომამდე) შევარდნაძის მიერ აფხაზთა ლიდერის არძინბას წინადადების – საქართველოს სახელმწიფო მოწყობის თაობაზე, უგულებელყოფა.

შეგახსენებთ – არძინბა ითხოვდა ფედერაცია-კონფედერაციის შექმნას. საქართველოს ხელისუფლებას (შევარდნაძე, სააკაშვილი) არც არასდროს გასჩენია სურვილი, ნამდვილი მოლაპარაკება ეწარმოებინა აფხაზეთთან და ამ მიზნის მისაღწევად კონსტრუქციული ურთიერთობა ჩამოეყალიბებინა რუსეთთან. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში აშშ-ის გამოჩენამ, ამ ქვეყნის სათავისო პოლიტიკამ აფიქრებინა როგორც შევარდნაძეს, ისე სააკაშვილს, რომ აშშ ნებისმიერ დროს და შემთხვევაში მხარს დაუჭერს საქართველოს და დაუბრუნებს აფხაზეთს.

ამერიკელთა იმედითა და, მე, ვიტყოდი წაქეზებით, სააკაშვილმა გადადგა მეტად სავალალო ნაბიჯი – წამოიწყო რა ომი ცხინვალში, რაც საქართველოს მარცხით დამთავრდა. მწირემიწიანმა საქართველომ ტერიტორიის 20% დაკარგა და, რაც მთავარია, საბოლოოდ გადაჭრა საქართველოდან განდეგილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაუცხოების საკითხი.

1992-2008 წლის ომებმა, საქართველოში აშშ-ის პოზიციების განმტკიცებამ, საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამ და საქართველოს ხელისუფალთა მიერ რუსეთის სისტემატურმა ლანძღვა-გინებამ, მათ შორის, საერთაშორისო არენაზე, მოსკოვს სხვა გზა არ დაუტოვა – გაემაგრებინა საკუთარი პოზიციები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

დასავლეთის, უპირველესად აშშ-ის მოიმედე საქართველოს ხელისუფლებას არ გასჩენია სურვილი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არა მარტო უცხოეთში ებრძოლა, არამედ სოხუმში, ცხინვალსა და მოსკოვშიც!

საქართველოს ხელისუფალთა ხმამაღალი განცხადებები მოუწოდებდა ქვეყანას ძალისმიერი მოქმედებებისკენ, რაც გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა ცხინვალსა და სოხუმში. 2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის წინადადებას – ავტონომიებთან სტატუსის განსაზღვრისთვის მოლაპარაკების დაწყების თაობაზე, საქართველომ უარი უთხრა, მოსკოვს სრულიად საფუძვლიანად შეექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველო კვლავ ომს დაიწყებდა. შედეგი – მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

2 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც „საოცნებო“ ხელისუფლებაა ქვეყნის სათავეში, მაგრამ მოსკოვთან ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო სავაჭრო კავშირებს, წინ არ წასულა. ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებზე აფხაზეთმა რა ხანია დასვა საკუთარი უსაფრთხოების საგარანტიო ხელშეკრულების გაფორმების საკითხი აფხაზეთსა და საქართველოს შორის, თუმცა, უშედეგოდ. თბილისმა შორს დაიჭირა თავი, რითაც კიდევ უფრო დაარწმუნა სოხუმ-ცხინვალი, რომ თბილისიდან აგრესია გამორიცხული არ არის.

რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული – აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესია – ნიშნავს მოსკოვის წინააღმდეგ აგრესიას. რით განსხვავდება ეს პუნქტი ნატოს დოკუმენტისგან? ისიც ხომ ერთზე თავდასხმას, ყველაზე თავდასხმად აღიქვამს?

აფხაზ პოლიტიკოსთა განცხადებით, საქართველო მზადაა, ნატოში შევიდეს და თუ ეს მოხდა, საქართველო მეორე დღესვე თავს დაესხმება აფხაზეთს. ამდენად, მისთვის სწორედ ეს პუნქტი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ან რა არის გასაოცარი იმაში, რომ აფხაზეთი და რუსეთი ერთიანი ძალებით გააკონტროლებენ (დაიცავენ) საზღვრებს? არც არაფერი.

აფხაზეთის მოსახლეობაც არ ეყოფა საქართველოსთან საზღვრების დაცვას. ან რა არის გასაკვირი იმაში, რომ აფხაზეთმა საგარეო პოლიტიკა რუსეთთან ჰარმონიზებულად წარმართოს? თუ გაცილებით დიდი საქართველო, საერთაშორისო სუბიექტად წოდებული, გაეროს წევრი და ა.შ. საქართველოში აშშ-ის ელჩის გარეშე ტუალეტშიც ვერ შედის, ნატოსა და ევროკავშირის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, არის რამე გასაკვირი იმაში, რომ აფხაზეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდეს რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელსაც ის მხსნელად მიიჩნევს?

ის, რაც 24 ნოემბერს მოხდა, ალბათ, არ მოხდებოდა „საოცნებო“ ხელისუფლებას ნაცური პოლიტიკა რომ არ გაეგრძელებინა. დიახ! შეიცვალა ტაქტიკა, შეწყდა რუსეთის გინება, აღდგა სავაჭრო კავშირები, მაგრამ არ აღმდგარა პოლიტიკური, დიპლომატიური ურთიერთობები. რუსეთი თვლის, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ურთიერთობებს ნაკლებად აქვს აზრი, ვინაიდან ასეთ ურთიერთობებს, ამერიკული ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველო ვერ განახორციელებს.

საქართველომ, საბჭოთა კავშირის დაშლიდან გამომდინარე მიღებული დამოუკიდებლობა, სულ რამდენიმე თვეში და არა წელიწადში დაკარგა, და რომ დაკარგა, ვერ გრძნობს – სხვაზე ამბობს, ამ შემთხვევაში აფხაზეთზე – იმან დაკარგაო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ჩვენ დავკარგეთ, ახლა კი აფხაზებმა. და ჩვენ ისე დავკარგეთ, ამის საფასურად არაფერი მიგვიღია ან თუ მივიღეთ ძალიან მიზერული – სალეჭი რეზინების სახით.

პუტინ-ხაჯიმბას მოლაპარაკების დროს პუტინმა რკინიგზის აღდგენის სურვილიც გამოთქვა. საქართელოს პოლიტიკა უმალ განგაშით შეხვდა ამ წინადადებას. არადა, რკინიგზის აღდგენა არა მარტო საქართველო-აფხაზეთს დააკავშირებს, არამედ სომხეთს, რუსეთს, საქართველოს, ირანს (პერსპექტივაში), ევროპასა და სპარსეთის ყურეს. საინტერესო და ქვეყნისთვის მეტად მომგებიანი პროექტია ყველა პარამეტრით – როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური.

ვინ იცის, იქნებ სწორედ რკინიგზა გახდეს ჩატეხილი ჩვენი ურთიერთობების აღდგენის ხიდად? ღირს ამ თემაზე დაფიქრება. ერთხელ მაინც დავფიქრდეთ და მერე გადავწყვიტოთ, ნაცვლად ემოციური უარისა?!



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №230

**რა იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზი? მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? ცნობილია უახლესი ისტორიის ამ მტკივნეული თემის განსხვავებული ინტერპრეტაციები.**

**რა მოხდა სინამდვილეში? მიზეზშედეგობრივ კავშირებზე საუბრობს გამსახურდიას მთავრობის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი.**

**ფინეთში, ქალაქ კანტააში, ინტერვიუ აიღო და ჩვენს გაზეთს მოაწოდა რეჟისორმა ზვიად მიქელაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.**

კითხები განიხილება არა ფაქტების საფუძველზე, არამედ ე. წ. რწმენის საფუძველზე, ამგვარი პათოსით: „მე არ მჯერა, რომ ზვიადი თავს მოიკლავდა!“ ამისთანებს ფაქტები არ სჭირდებათ, მათ აინტერესებთ ყველა ის ჭორი და მოზღაპრება, რაც მათ წარმოსახვას გაუმძაფრებს. ამისთანა ხალხთან დავა არ შეიძლება, მათთან ჭიდაობა არ ღირს. მოწმეებმა თქვეს, რაც ნახეს.

**– რამდენად ხშირად იყენებდით პრეზიდენტის რაციას? როგორც ამბობენ, გროზნოდან პრეზიდენტთან დაკავშირებას სწორედ ამ რაციის მეშვეობით ცდილობდნენ?**

რიცხოვნობა გამორიცხული იყო. კი, მერე დაუშვეს, რომ კიდევ ერთი მანქანა წამოგვყოლოდა, ვოლგა, მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ ის ორი მანქანა იყო. არავითარი ამალა და არმია იქ არ იყო. გარდა ამისა, როგორ წარმოგიდგენიათ 40 კაცის ტყეში შენახვა? ყოველდღე ჭამა ხომ უნდა 40 კაცს? ვთქვათ, ჩაუსახლდა ეს ორმოცი კაცი ვინმეს სახლში. ერთ კვირაში რა დღეში ჩავარდებიან?

რაც შეეხება დევნას. რას ნიშნავს დევნა? მე იქ მდევარი არ მინახავს. ან როგორ წარმოგიდგენიათ აბსოლუტური ქაოსის ვითარებაში ვინმეს დევნა? არაფერი არ მუშაობს: დენი არ არის, ტელეფონი არ მუშაობს, მავთულები მოპარულია, ბენზინი არ იშოვება, არაფერი არ არის...

ერთგან ვიყავით და ზვიადმა თქვა, ის კაცი რაღაც საეჭვოდ იყურება ჩვენკენო. ვიღაცა მართლა იყურებოდა სახლისკენ. მერე მსჯელობა დავიწყეთ: ვთქვათ, მსტოვარია. ჩვენ რომელიღაცა სოფელში ვართ. ამ მსტოვარმა როგორ უნდა შეატყობინოს ჩვენი იქ ყოფნა ვინმეს? ზუგდიდში არ დადის არც ავტობუსი, არც მანქანა, ესე იგი, ფეხით უნდა ჩავიდეს ზუგდიდში. სანამ ზუგდიდში ჩავა, სანამ შეატყობინებს, სანამ ისინი ჩაიტვირთებიან ბეტეერებში, თან ღამე გამოსვლას ვერ ბედავენ. ღამე საერთოდ ვერ ბედავ-

მეომრებთან ერთად ისევ შეტევაზე გადავაო...

– თბილისში, პუტჩის დროს, სადღაც ზარბაზნებს ისროდნენ. სამეგრელო კი მთლიანად დარბეული და გასაცოდავებული იყო. ასე რომ, თბილისში რას ფიქრობდნენ, რისი მოლოდინი ჰქონდათ და სამეგრელომ რა გადაიტანა თავის თავზე, ეს ორი სულ სხვადასხვა რამ გახლავთ.

**– თბილისშიც მძიმე ვითარება იყო...**

– გეტყვით, რა მდგომარეობა იყო ბოლოს სამეგრელოში. რეალობაა და უნდა ითქვას! ბალტინის ფლოტმა სენაკის და სოფლების დაბომბვა რომ დაიწყო, ხალხმა ელემენტარულად ზვიადს დაუსვა საკითხი: თუ შეგიძლია, დაგვიცავი, თუ არადა, რამე ქენი, მიხედე თავსო! აგერ, გვბომბავენ და შენ ვერაფრით გვეხმარებიო. როგორ გგონიათ, იოლი გასაცემია ამაზე პასუხი? თუ ფიქრობთ, რომ არ ისმებოდა ასე საკითხები? ზვიადი, როგორც ერის მეთაური, ამას გრძნობდა. მისი და ჩემი ცოლ-შვილი უსაფრთხოდ იყვნენ გროზნოს შეფარებულნი, მაშინ, როცა სამეგრელოში უამრავი ოჯახი დაუცველი რჩებოდა. ჩემ მიმართაც დაუსვამთ შეკითხვა, ბატონო ბესარიონ, ცოლ-შვილი რატომ არ ჩამოგყავთო. თუ თავის გაწირვაა, ერთად გავწიროთ თავიო. ჩვენ აქ ჩვენი ცოლ-შვილით და სახლ-კარით ვართ მტრის

# ვ. ფინეთის ცივი მზე

## „გემი რომ იძირება, კაპიტანი უნდა ჩაჰყვეს“...

– 1999 წელს, როდესაც ქართულ პრესაში პირველად გამჟღავნდა პრეზიდენტ გამსახურდიას სიკვდილის ფაქტიური ადგილი - ზუგდიდის რაიონის სოფ. ძველი ხიბულა, კარლო ღურწკაია, რომლის ოჯახშიც დროებით შეფარებული იყო პრეზიდენტი, ყვებოდა, რომ გასროლის ხმაზე სასწრაფოდ ავიდა მეორე სართულზე, დაინახა გარდაცვლილი ზვიად გამსახურდია, რომელსაც თავიდან სისხლი სდიოდა და ხაზი გაუსვა ერთ დეტალს: ის ჩაცმული იყოო შარვალ-კოსტიუმში და გადაწეული ჰქონდაო საბანი, თითქოს მოერიდა საბნის დასვრასო. თქვენ როგორ აღწერთ იმ გარემოებას, რაც გასროლიდან რამდენიმე წამში დაინახეთ? გახსენდებათ, რომ პრეზიდენტს უკვე შარვალი და კოსტიუმი ეცვა?

– გააჩნია ვინ რა დროს ნახა. ღურწკაია შემოვიდა გასროლიდან ორ-სამ წუთში, შესაძლოა, ოთხ-ხუთ წუთშიც, არ მახსოვს ზუსტად. ამ მომენტისთვის მცველები შეეცადნენ გაესინჯათ, დაეთვალიერებინათ ზვიადის სხეული. ამიტომ ის მდგომარეობა, რაც ღურწკაიას დახვდა, მთლად ის არ იყო, რაც ჩვენ, თავიდან ვნახეთ, გასროლიდან წამებში. რა ეცვა, ზუსტად არ მახსოვს, იმიტომ, რომ ოთახში ბნელოდა, ან რაში მაინტერესებდა ეს დეტალები... ასეთი ტრაგედიის დროს, არ მიმიქცევია ყურადღება თუ რა ეცვა, თან იმ სიბნელეში, სადაც ერთი ჭრაქის ლამპა ანათებდა. მე ვხედავდი სახეს ზვიადისას, სისხლი სდიოდა. რა ეცვა და როგორ ეცვა, ასეთი დეტალები არც მახსოვს, არ მიმიქცევია ყურადღება. ღურწკაია მომხდარს მაინც გვერდიდან უყურებდა, ჩვენთვის კი ეს თავზარდამცემი იყო: ყველაფერი იშლებოდა. მაგრამ მახსოვს, რომ ზვიადს იმ საღამოს ჯემპრი ეცვა. ისე, ჩაცმულები ვიწექით ყველა. მტერი რომ დაგვსხმოდა თავს, ფეხსაცმელში უნდა გაგვეყარა ფეხი, დროულად რომ გაგვეღწია.

**– ადრეულ ინტერვიუებში თქვენ აღწერდით, რომ 1993 წლის დეკემბრის თვეში ზვიად გამსახურდია ფიზიკურად ძალიან დასუსტდა. ტრაგედიამდე თუნდაც ერთი კვირით ადრე, თუ გახსოვთ, როგორი განწყობა იყო, რისი მოლოდინი გქონდათ თქვენ, პრეზიდენტს, დაცვის წევრებს, ყოველი მომდევნო დღის წინ? გასაგებია, რომ მტერთან ჩაბარებაზე არ ფიქრობდით...**

– გამოუვალობის გარემო იყო. გაუგებარი იყო, რისი გაკეთება შეიძლებოდა შემდგომ. ამოიწურა ყველა გეგმა და ყველა იმედი პრეზიდენტისთვისაც და ჩვენთვისაც. ბოლო იმედი იყო, ენგურის ხეობაში, ბანაკში რომ მივედით. ამის მერე ყველაფერი უკან-უკან მიდიოდა. არანაირი ძალა არ ჩანდა, არავითარი შეიარაღებული რაზმები, არანაირი პარტიზანული ბრძოლა. არაფერი არ ჩანდა. ასე, რომ ძალიან დეპრესიული განწყობა იყო... ამას დაამატეთ, რომ პრეზიდენტი ძალიან ავად გახდა. ვიღაცები შეიცხადებენ ვითომ, ზვიადი როგორ გახდებოდა ავადო... როგორ არა, განა ადრეც არ ჰქონდა შაქრის შეტევები? ბოლოს ტკივილები აწუხებდა და ეს დაფიქსირებულია მრავალჯერ, მაგრამ, თუ კაცს არ უნდა დაიჯეროს, რას უზამ? საქმე ისაა, რომ ეს სა-



– არავითარი რაცია არ ჰქონდა პრეზიდენტს. ის რაცია დამონტაჟებული იყო მანქანაში, რომელიც 300 კილომდე იწონიდა. ენგურთან რომ მივედით, ბანაკთან იდგა ეს მანქანა. ეს რაცია ვიღაცებს წარმოუდგენიათ დღევანდელი მობილურივით, ჯიბით რომ დაატარებენ.

**– ენგურის შემდეგ ყველანაირი კავშირი გაწყდა?**

– რადიო კი არა, ფანარი არ გვქონდა, ღამე გზა გაგვენათებინა. ბატარეია არ იშოვებოდა სამეგრელოში და ასანთი. რატომ არავინ სვამს შეკითხვას, რითი ვანთებდით ღურწკაიას სახლში ლამპას? ნავთი არ იყო და სალიარკა ჰქონდათ, რომელიც ხრჩოლავდა და ბოლავდა. რა მდგომარეობა იყო მაშინ სამეგრელოში, წარმოდგენა არა აქვთ.

**– სანამ რაციის საშუალება გქონდათ, იყო თუ არა დუდაევის მცდელობა, დაკავშირებოდა ზვიად გამსახურდიას?**

– იმ რადიოში ისმოდა შვილის, გიორგის ხმა. „პაზივნიე“ რომ ჰქვია, იმეორებდა სულ. მერე ბაჩუკი ჩასვა იმ მანქანაში, ბესო არ შეიპაროს და არ დაელაპარაკოსო. არავითარი კონტაქტი არ უნდოდა არც ოჯახთან და არც არავისთან. ვინ უშლიდა ზვიადს წერილი გაეგზავნა თავის ოჯახთან?

**– ზვიად გამსახურდიასთან ბოლოს რამდენიმე ადამიანი დარჩით. წლების შემდეგ ე. შევარდნაძე უარყოფდა მის მიერ პრეზიდენტზე განხორციელებულ დევნას.**

– გადამწყვეტი მომენტი იყო აფხაზეთში გადასვლა. აფხაზებმა კატეგორიული მოთხოვნა წამოგვიყენეს, ერთ მიკრო ავტობუსში რამდენიც ჩაეტევით, იმდენი გადმოხვალთო. ასე რომ, ამალა და მრავალ-

დნენ გარეთ გამოსვლას. ჩაკეტილები იყვნენ თავიანთ ბანაკებში. დღისით გამოდიოდნენ და ძარცვავდნენ სოფლებს, სადაც იცოდნენ, რომ შეიარაღებული რაზმი არ არის.

მაშინ ორგანიზებული ძალა არ ჰქონდა შევარდნაძეს. მიშას დრო კი არ იყო, როცა დაძრავდა სპეცრაზმებს, სოდ-ს და კუდ-ს. იყო ანარქიის და ქაოსის პერიოდი. ასე, რომ ის კაცი მსტოვარი რომ ყოფილიყო, ფეხით უნდა ჩასულიყო 40 კმ. ზუგდიდში. მერე სანამ ისინი დაიძვრებოდნენ ჩვენკენ... ღამე არ წამოვიდოდნენ. თუ წამოვიდოდნენ, მხოლოდ დღისით. უნდა წამოეყვანათ ერთიორი ბეტეერი... ამ ყველაფერს ხომ მოხერხება უნდოდა? სად ჰქონდათ მაგისი თავი. მაგდენი მოხერხება რომ ჰქონოდათ, აფხაზეთს კი არ დაკარგავდნენ. არ მინახავს მე იქ არავითარი მდევარი. ორჯერ გავიგეთ, რომ თავს დაესხნენ ოჯახებს, სადაც მანამდე ვიყავით. ოჯახისთვის მოუთხოვიათ ეთქვათ, საით წავედით. ან ეს რა შეკითხვაა - „საით წავიდნენ?“ ვინ ეტყოდა ოჯახს, საით მივდიოდით?! რომ ეწამებინათ და მოეკლათ, მაინც ვერაფერს ეტყოდნენ, რადგან მართლა არ იცოდნენ სად ვიყავით.

რომ სდიო კაცს, უნდა შეხვიდე ტყეში, მაგრამ ფეხის შედგმა რომ ეშინია ჯარისკაცს, იმიტომ, რომ არ იცის, რომელი მხრიდან ესვრიან, როგორ უნდა დევნოს ვინმე? იცი რა იყო ყველაზე საშიში? ყველაზე საშიში იყო ის, რომ გამოაცხადეს ფულადი ჯილდო მოკვლაზე, რასაც, რა თქმა უნდა, არ გადაიხდიდნენ, მაგრამ ისეთ გაღატაკებულ ქვეყანაში, როგორიც მაშინ საქართველო იყო, ასობით ენთუზიასტი გამოჩნდებოდა. ზვიადის თავში იყო გამოცხადებული ნახევარი მილიონი დოლარი, ჩემსა და ლოთის თავში 250 ათასი. ამ ფულზე დახარბებულებს შეიძლებოდა მოვეკალით. ეს იყო საშიში.

**– ეს ჯილდო ოფიციალურად გამოაცხადეს?**

– რა მნიშვნელობა აქვს, ხალხმა ასე იცოდა. ამ დროს მშიერი ყოველთვის არის, რომელიც მზადაა ნახევარი მილიონისთვის ვიღაც მოკლას. სულ არ ადარდებს ვის მოკლავს, ზვიად გამსახურდიას თუ იესო ქრისტეს. შია, ნარკოტიკი უნდა და ფული არა აქვს, რომ გაიჩხიროს. აი, ესაა საშიში მაგ დროს.

არ ჰქონდა მაშინ შევარდნაძეს რაიმე ინსტრუმენტი, რომ სისტემატური დევნა განეხორციელებინა. ჩვენ ყოველ სამ-ოთხ დღეში ადგილს ვიცვლიდით. არავის ვეუბნებოდით საით მივდიოდით. ხშირად ჩვენ თვითონაც არ ვიცოდით, საით უნდა გვევლო.

**– თბილისელებში მაშინ რაღაცნაირი მოლოდინი იყო. პრეზიდენტი, ალბათ, ტყეშია და ცოტა ხანში თავის ერთგულ**



წინაშე, თქვენი ცოლ-შვილი კი გახიზნულიაო... ამ დროს რა პასუხს აძლევ იმ ხალხს? გინდ პრეზიდენტი იყავი და გინდ პრემიერ-მინისტრი.

სხვათა შორის, დღეს მორცხვად, კეკლუცად ამ საკითხებს ყველა მალავს. ჯოხარ დუდაევი ფრონტზე იყო თავის ცოლ-შვილთან ერთად, მცირეასაკოვანი ბავშვი ჰყავდა იქ, სადაც ბომბები სკდებოდა. ჩემი ცოლ-შვილი და ზვიადის ცოლ-შვილი კი გროზნოში იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად დაცულები.

არ გვქონდა საკმარისი ძალები და დავმარცხდით. არავინ არ იცის, რა მდგომარეობაში იყო ზვიადი. რომ გაეჭრათ, გაესინჯათ, მე მგონი, შაქრის შეტევა ჰქონდა. რა მოჰყვება შაქრის შეტევას? ნებისმიერი ექიმი გიპასუხებთ: გონების არევა, არასაღი აზროვნება, დეპრესიული მდგომარეობა, ხშირად მოჰყვება თვითმკვლელობა და ა.შ. გაუსინჯა სისხლი ვინმემ? ვერავინ. ყველა ნიშანი ჰქონდა, რომ შაქარი მომატებული იყო. წამალიც მოუტანეს.

ვის აინტერესებს, რა მდგომარეობაში იყო მაშინ ზვიადი. ყველას წარმოდგენილი ჰყავს ზვადი ტრიბუნაზე, ცეცხლოვან სიტყვას რომ ამბობს. ამ დროს ის გალიაში რომაა გამომწყვდეული, წასვლა არ უნდა და გაქცევა არ უნდა, ეს ცალკე საკითხია.

იცით, რაშია საქმე, მოდი, ჩემს დასკვნას გეტყვით. **ყველას უნდა ზვიადის მაგალითზე თავისი ცვედნობა გაამართლოს.** ამბობენ, მე თავს არ მოვიკლავდი, გავიქცეოდიო. ასეთებს მივმართავ: შენ გაიქცეოდი, არც თავს მოიკლავდი და არც მოგიკლავს, იმიტომ, რომ მთელი ერი არის დეზერტი-

რი. ეს არის დაცვედნებული ერის აზროვნება და ასეთი ცვედანი აზროვნებით ცდილობს შეაფასოს ზვიადის ქცევა. ამ აზროვნებაში ამ ხალხის სიდედლე ჩანს. ოღონდაც ცოცხალი გადარჩეს და ყველაფრის გამკეთებელია.

ამზოზენ, წარმოუდგენელია ზვიადს თავი მოეკლაო. რა არის წარმოუდგენელი? ზვიადი სწორედ იმის ზვიადი იყო, რომ მაგას გააკეთებდა! ამით განსხვავდება ზვიადი შევარდნაძისგან, სააკაშვილისგან და სხვებისგან. სააკაშვილი მიწაში ჩაძვრა ვირთხასავით, რადგან სადღაც შვეულმფრენი მოეჩვენა. თუმცა, ვერავინ ვერ დაინახა ეს შვეულმფრენი, მის გარდა.

ამ ხალხს რომ ვუსმენ, ან მათ ნაწერს რომ ვკითხულობ, გული მწყდება. სადამდე დაეცა ეს ხალხი, როგორი გასაცოდავებულ-გამაიმუნებულია. გმირობის და თავგანწირვის მოთხოვნილებაც არა აქვთ. სხვისი თავგანწირვის გაგების უნარიც არ აქვთ.

არავის უნდა რომ ჯვარს ეცვას. ხო, ამაზეა ლაპარაკი საერთოდ, საბოლოო ჯამში.

როცა ქართველ ხალხს მოუნდება თავგანწირული პრეზიდენტი, რომელიც დანებებას და დამარცხებას თვითმკვლელობას არჩევს, ის ხალხი გაიმარჯვებს... და ის ხალხი, რომელსაც გაქცეული პრეზიდენტი უნდა, კარგად მყოფი და მოქეიფე, ის ხალხი ვერ გაიმარჯვებს, ვერა.

**– რა შეგრძნება გქონდათ, როდესაც გარდაცვლილ ზვიად გამსახურდიასთან მარტო დარჩით? რამდენიმე წლის წინ და რამდენიმე თვის წინ ის ტრიუმფატორი იყო, პრეზიდენტს ერის უზარმაზარი ნაწილი მიჰყვებოდა, ახლა კი დევნილი ესვენა თქვენს წინაშე.**

– ჩვენთვის იქ ყოველი დღე ისტორია იყო. ორი თვე ვიმალებოდით. ყოველი დღე იყო ისტორია. ყოველდღე შეიძლებოდა დამთავრებულიყო ჩვენი ცხოვრება. ის ორი თვე სიგრძეში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მანამდე წელიწადნახევარი. ყოველ დღე გიწევს ბრძოლა, სულიერი, ფიზიკურიც. დევნილობისას არ გვეცალა ასეთი ფიქრებისთვის, ზვიადი ცოტა ხნის წინ პრეზიდენტად რომ აირჩიეს და ტელევიზორში გამოდიოდა. მაგ დროს იმაზე ფიქრობ, გუშინ სად იყავი, დღეს სად ხარ და განსაკუთრებით ხვალ სად წახვალ, რა მოგივა.

თქვენს კითხვას რაც შეეხება, მახსენდება, იმ ღამეს, ზვიადი რომ დავმარხეთ ფარნის სინათლეზე, ქურდულად. ვთქვი, რა საცოდაობაა-მეთქი... **ასე მალულად, ასე ქურდულად, ღამე, ფარნის სინათლეზე დავმარხეთ ხუთმა კაცმა ზვიადი.**

გაპატიოსნებაში არ მიმიღია მონაწილეობა, მცველებმა გააპატიოსნეს, მაგრამ ერთ მომენტში შევედი იმ ოთახში, სადაც ზვიადი ესვენა. გამიკვირდა ზვიადის ტანი. მართალია, გაძვალტყავებული იყო, მაგრამ მითუმეტეს ჩანდა, თვითონ ჩონჩხი.. როგორი ათლეტური აღნაგობა ჰქონდა, როგორც ნამდვილი ძველი ბერძნული ქანდაკება იყო.

სხვა რა გითხრათ. უმძიმესი განცდები და დეპრესია გვქონდა. დეპრესია მარტო ზვიადის სიკვდილის გამო არა. ქვეყანა დაგვექცა თავზე. ერთია, ვიღაც წამოწოლილი იყო და რას ფიქრობდა, მაგრამ, ვისაც სახელმწიფო აბარია, მისი პასუხისმგებლობა სულ სხვა არის. **ეს შევარდნაძეს შეეძლო აფხაზეთი დაეკარგა ისე, რომ მერე ხითხითებდა და იცინოდა, ან მიშა, აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ ჩააბარა, მერე მხიარულობდა და ბანკეტები ჰქონდა. ვისაც სამშობლო უყვარს, ეს არის უმძიმესი განცდა, რომ შენ ხარ მეთაური სახელმწიფოსი, ხარ პასუხისმგებელი და შენი ქვეყანა დაიღუპა...**

ბევრჯერ მითქვამს, გემი რომ იძირება, კაპიტანი უნდა ჩაყვეს. მერე კიდევ, ვინ იყო ზვიადი? ზვიადი იყო ქვეყნის მთავარსარდალი, პასუხისმგებელი ქვეყნის ბედზე. ჩამოვიდა ზუგდიდში და თქვა, რომ ამათ ქვეყანა უპატრონო ჰგონიათ და პატრონი ჩამოვედიო. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც შვილი მოუკვდება. ერი ჩავარდა ასეთ მდგომარეობაში. სააკაშვილმა და შევარდნაძემ რომ ქვეყანა ასეთ დღეში ჩააგდეს, მათ არც ჰქონდათ სიცოცხლის უფლება. ისინი იმ ომებში უნდა დაღუპულიყვნენ გმირულად. მაშინ იქნებოდნენ კაცები.

მასალა მოგვაწოდა
**ზვიად მიქელაძემ.**

**ანონსი: არსებობდა თუ არა ე. წ. „კრიმინალური ინტელიგენცია"? ბესარიონ გუგუშვილის აზრით, რა იყო ზ. გამსახურდიას ხელისუფლების და ინტელიგენციის გათიშვის და დაპირისპირების მიზეზები.იხილეთ „კვირაძალის საკითხავის" მომდევნო ნომერში.**

# პოლიკარპე კაკაბაძე: ხელოვნება გვინდა ცხოვრების გასამართლებლად...

**„მე არ ვარ ამქვეყნად, მაგრამ თვალეზია ჩემი ამ ქვეყნად.**

**თვალს რომ არ ჰქონდეს თავის მზიურობა, როგორ იგრძნობდა მზეს?**

**კაცს რომ არ ჰქონდეს თავის ღვთიურობა, როგორ იცნობდა ღმერთს?**

**ჩვენ მზე გვინთებს სიკვდილის ჩრდილში, არღვევს ამ ჩრდილს ქრისტეს რწმენა.**

**ღვთის შიში ადამიანებს შეაყვარებს ერთმანეთს, ადამიანის შიში კი ერთმანეთს შეაძულებს.**

**ღვთის ჩაგონებით შეიქმნა სახარება. სახარება არის ცხოვრება ყოველი ადამიანისა. იქ ცხოვრობს უფალი ადამიანის ცხოვრებით, იღებს თავის ზურგზე ცოდვას ყოველი ადამიანისას და ამით ადამიანს უკვდავების ღირსად ყოფს. ის თრგუნავს სიკვდილს და მასთან ერთად აღსდგება სიკვდილისაგან"...**

ბატონი პოლიკარპე კაკაბაძე უკვე ხანდაზმული გახლდათ, საქართველოს რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა ახალგაზრდა რედაქტორმა თინა კობალაძემ ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა „ყვარყვარე თუთაბერის" ავტორისთვის დრამატურგია. ამ და კიდევ სხვა რამდენიმე პასუხს, რომელიც გამოქვეყნებული არ არის და რადიოს „ოქროს ფონდშია" დაცული, „კვირაძალის მკითხველს" ვთავაზობთ.

„დრამატურგიაში, რასაკვირველია, „პირველი ვიოლინო" უჭირავს შექსპირს. იგი ამ მხრივ, კაცობრიობის მწვერვალია. მართალია, ზოგჯერ მას ფორმით ჯობს სოფოკლე, ფილოსოფიური სიღრმე ხანდახან უფრო დიდი აქვს ესქილეს, მაგრამ შექსპირმა დიდი საკაცობრიო ტიპების გალერეა შექმნა.



რა არის დრამატურგია... დრამატურგია არის იგივე მაღალი პოეზია. შექსპირს, მაგალითად, სიუჟეტები არა აქვს ორიგინალური. ან სხვისია, ან მატიანეებიდან არის ამოწერილი. ვთქვათ, პლუტარქედან და სხვა. მან აიღო სხვისი პიესები და საკუთარი სიტყვა შეიტანა. სიტყვით გააცოცხლა თავისი ტიპები, ადამიანები და მათი საკაცობრიო რეზონანსი, დონე ასწია. შექსპირს ზოგჯერ ხასიათებიც უცვლელად გადმოაქვს, დიალოგებიც... მისი ხელი ცვლის ყველაფერს. მისი აზროვნება ყველაზე მაღალია და ამიტომ იგი კაცობრიობისთვის მუდამ ძვირფასი იქნება. იგი ყოველთვის ჩაითვლება უდიდეს პოეტ-დრამატურგად.

მაგალითისათვის კიდევ გეტყვით: გოეთეს კაცობრიობა თვლის უდიდესად გენიოსთა შორის. მას რომ „ფაუსტი" არ დაეწერა, იგი იქნებოდა დიდი პოეტი, მაგრამ არა გენიოსი. „ფაუსტი" ის მწვერვალია, რომელმაც იგი გენიოსობათან გაათანაბრა. „ფაუსტი"" თავისუფლად ეჯიბრება „ჰამლეტს", „ოტელოს", „კორიოლანოს" და ასეთ დიდ საკაცობრიო სახეებს. იგივე „ფაუსტი" მარლომაც დაწერა. ძალიან დიდი პოეტი და დრამატურგი გახლდათ; გოეთეს „ფაუსტიც" სიუჟეტი და უმთავრესი ადგილებიც, მარლოსია, დეტალებიც კი. მაგრამ გოეთემ ეს თემა ისეთ სიმაღლეზე ასწია, რომ ვეღარავინ გაუტოლდება. ძალიან დიდი თემაა, ძნელი დასაძლევი; მანამდე ეგონათ, რომ მარლომ დასძლია; სხვაც ბევრი ჰყავს მას ავტორი, გოეთემ კი უფრო გააღრმავა, მეტი მნიშვნელობა მისცა.

* * *

– სერვანტესი ძალიან მიყვარს. დიდი, პირველხარისხოვანი მწერალია, დონკიხოტის ტიპი, ჩემი აზრით, შექსპირისა და გოეთეს გმირების დონეზე დგას. დონკიხოტის ნაწილი ყველგანაა, ყველა ადამიანში. იგი ცოცხალი, მარადიული სახეა, ძალიან მომხიბლავი და გულუბრყვილო. იღიმები, მაგრამ გრძნობ ტრაგიკულ მდგომარეობას. ასოციაციებს იწვევს შესანიშნავს, დიდს. ხელოვნებისა და ცხოვრების დიდი ცოდნითაა დაწერილი. გვიან დაწერა, თითქმის სამოცი წლისა იყო.

ჩემს „კახაბერში" კახაბერის ორმოში ჩავარდნაა მთავარი. ამ პიესის გმირების მთელი საქმეები მიმართულია კახაბერის გათავისუფლებლად, მაგრამ მათი პრობლემა იმაშია, რომ წარსულში ცოდვა აქვთ ჩადენილი... ერთს მატყუარობით, მეორეს გარყვნილებით, მესამეს უმოქმედობით. მატყუარა მიდის როსტომთან, რომ დაამყაროს სიმართლე. გარყვნილი მოითხოვს დამყარდეს უმანკოება და პატიოსნება, მესამე – აღდგეს გმირობა. ისინი იბრძვიან ამისათვის, ვერ ახერხებენ და ხალხს, ერის ფესვებს, მოჰყავთ ისევ ნამდვილი კახაბერი. წარსულში ცოდვის მქონენი მზად არიან თავი გააწკეპლინონ. ეს ურჩევნიათ, ვიდრე მტერმა მოსრისოს. ყველაზე ფართო ასოციაცია, რასაც ეს პიესა იწვევს, არის ის, რომ ადამიანები, რაც უნდა დაბლა დაეშვან სულიერად, გახრწნან ერთმანეთი, დასცენ ქვეყანა და გააქრონ წმიდათაწმიდა, მაღალი იდეა ჩააგდონ ორმოში, ისე, რომ არავინ ჩანდეს იმ მაღალი ზნეობის წარმომადგენელი. თვითონვე იღვწიან თავის მიერ დამხობილი სიკეთის აღსადგენად, თვითონვე იწყებენ ბრძოლას სიკეთისა და მაღალი იდეებისათვის, რადგან ცოდვა აქვთ წარსულში. მაგრამ ნამდვილი სიმართლისა და სიკეთის აღსადგენად ნამდვილი გმირია საჭირო, რომელიც ცოდვას მორალურად გაწკეპლავს. თვითონ არიან მზად გადასცენ ჭეშმარიტ კახაბერს წკეპლა, ხოლო ამით თავი იხსნან მათივე მეოხებით შემოსეული მტრისაგან...

* * *

...„შუშანიკის წამება" ისეთი მაღალი რეალიზმითაა დაწერილი, ისეთი მაღალი რეალიზმის ხერხით, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველხარისხოვანი ევროპელი მწერლების არცერთ პატარა მოთხრობას არ ჩამოუვარდება, თუნდაც საუკეთესოს, უმაღლესს. იმის შემდეგ წინ უნდა წასულიყო მწერლობა, მაგრამ, ეტყობა, ძალიან ცუდი პირობები დაუდგა საერთოდ, კაცობრიობას. მერე თანდათან დაქვეითდა ლიტერატურა, მარტო ლიტერატურა კი არა, ფილოსოფიაც, მხატვრობაც და აღმავლობა საქართველოში რუსთაველით დაიწყო. რუსთაველი, რასაკვირველია, გენიოსი პოეტია და საქართველო მისი სახელით მუდამ იამაყებს.

საერთოდ, ერის ხასიათი, მისი სული გამოიხატება ხალხურ გადმოცემებში, ხალხურ ზღაპრებში, ხალხურ ლექსებში. მე ბავშვობიდან მიყვარდა ქართული ხალხური ლექსაობა, გადმოცემები, ზღაპრები და ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ხალხის შემოქმედება. შემდეგ, როდესაც წერა-კითხვა ვისწავლე, პირველ ხანებში ისევ ხალხურ ზღაპრებსა და გადმოცემებს ვეწაფებოდი, ძალიან მომწონდა, ჩვენი კლასიკოსებისა და ევროპელი მწერლების წიგნებიც ის მიზიდავდა და დღესაც ის მიზიდავს ყველაზე მეტად, რაც ხალხის სულსა და ხასიათს გამოხატავს. მათი განსაკუთრებული მიღწევები, ჩემი აზრით, სწორედ ხალხური თქმულებებისა და გადმოცემების კლასიკურ სიმაღლემდე, მათ მაღალ რეალიზმამდე აყვანაში გამოიხატა. მეც ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად, გავყოლოდი ამ გზას.

რაც შეეხება მწერლებს, საერთოდ, მოგახსენებთ... კლასიკოსებს არ ვგულისხმობ, მე ვიცნობ, ზოგიერთი მწერალია, მწერალი კი არა, თვითონ ეძახიან თავის თავს მწერალს... არაფერზე არ დაფიქრებულა... რა უნდა ამოიკითხოს ახალგაზრდამ მათ ნაწერებში. კითხვაც კი არ იციან. ჯერ მკითხველი უდა იყოს კაცი და მერე მწერალი.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, არტისტები, მაგალითად, ლექსს ვერ კითხულობენ, სახალხოები კი არიან, ძნელია და იმიტომ. არ იციან. თავის დროზე არვინ არ ასწავლიდათ. ლექსის კითხვა დიდი ხელოვნებაა. როლივით უნდა ჰქონდეს გააზრებული და გათავისებული. როცა ასე არაა, მაყურებელიც, მსმენელიც, მკითხველიც დაბალ დონეზე დგება. ამ მხრივ, რადიოც ბევრს სცოდავს... ცხადია, კარგთან ერთად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ლექსის, ანუ იგივე მოთხრობის წაკითხვას. დიდი მნიშვნელობა აქვს მსმენელის გემოვნების აღზრდას. ნაწარმოებში, თუ ის მართლა ნამდვილი მწერლის დაწერილია, არის ფილოსოფია, პოეზია, მსახიობმა იგი უნდა შეიგრძნოს და ისე მიიტანოს მსმენელამდე. თუ ვერ შეიგრძნობს და ისე წაიკითხავს, ეს მხატვრული კითხვა არ იქნება. ცოტას ფიქრობენ ამაზე.

* * *

ჩვენ ამ ხანმოკლე ცხოვრებაში ვეძებთ აზრს და არა უაზრობას, სიმშვენიერეს და არა სიმახინჯეს, სინათლეს და არა სიბნელეს, სიყვარულს და არა სიძულვილს, უკვდავებას და არა სიკვდილს, ღირსებას და არა უღირსობას, ღმერთს და არა არარაობას, აღტაცებას და არა ზიზღს, იმედს, სასოებას და არა სასოწარკვეთილებას, კეთილს და არა ბოროტებას, ძმობას და არა მტრობას. ხელოვნება გვინდა ცხოვრების გასამართლებლად, საქმებად, და არა გასამხეცებლად, წმინდა აღქმისათვის და არა შესაგონებლად, გალობისათვის და არა ბრძოლისათვის....

მე მინდა არა სახელი გმირისა, არამედ საქმე გმირული. **გმირული სახელისათვის კაცს ადიდებენ, ხოლო გმირული საქმისათვის გმობენ.** სილამაზეა გაბნეული მთელ ქვეყანაზე, ცაში, მიწაზე, და ცის იქით: – ეს არის ჩვენი ესთეტიკური გრძნობა და ჩანერგილია ჩვენში სიცოცხლის შესაყვარებლად განგების მიერ. ეს გრძნობა რომ არ გვქონდეს, სიცოცხლის სურვილი და სიცოცხლისათვის ბრძოლის სურვილიც არ გვექნებოდა: არც ვიცოცხლებდი! ჭეშმარიტებასთან მისვლა იგივე ღმერთად ქცევაა. ჭეშმარიტების სიყვარული არ არსებობს – ეს მისწრაფებაა ღმერთად ქცევისაკენ. სიყვარულია მხოლოდ გზა ჭეშმარიტებისაკენ. სხვა გზა მისკენ არ მიდის. სიძულვილი, გულცივობა ვერ მიგიყვანს ჭეშმარიტებასთან...

**არა სახელი გმირისა, არამედ საქმე გმირული...**

**ანონსი: პოლიკარპე კაკაბაძისა და კოტე მარჯანიშვილის რთული ურთიერთობის ისტორიას, „იმხანად მე მარჯანიშვილთან თითქმის უბრად ვიყავი"... – იგონებს დიდი ქართული დრამატურგი, რომელსაც ჩვენი ეპოქის დიდ რეჟისორთან ასევე დიდი მხატვარი დავით კაკაბაძე შეარიგებს... იხილეთ „კვირაძალის საკითხავის" შემდეგ ნომერში**

**ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთთან ხელშეკრულება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციებს განამტკიცებს

**რუსეთი ჰპირდება აფხაზეთს გააძლიეროს თავისი სამხედრო დახმარება და მისცეს უღიარებელ რესპუბლიკას მეტი ფული, მათ შორის, სახსრებიც სოციალურ ვალდებულებათა განაღდებისთვის. ეს მხოლოდ ზოგიერთი პუნქტია მოკავშირეობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო 24 ნოემბერს რუსეთისა და თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტებს შორის.**

**დოკუმენტი ფაქტობრივად განამტკიცებს რუსეთის გავლენას ამ რეგიონში და იძლევა სიგნალს მოსკოვის გადაწყვეტილების შესახებ — დაიცვას თავისი ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში, მიაჩნია ჰენრიხ ბიოლის გერმანული ფონდის აღმოსავლური და სამხრეთი ევროპის განყოფილების ხელმძღვანელს ვალტერ კაუფმანს. დრო ამ დოკუმენტის ხელმოწერისთვის შეირჩა ასევე არა შემთხვევით,** — უთხრა მან „დოიჩე ველეს“ ინტერვიუში.




**დოიჩე ველე: რატომ დაგმეს ნატომ და ევროკავშირმა ხელშეკრულების ხელმოწერა რუსეთსა და აფხაზეთს შორის?**

**ვალტერ კაუფმანი:** სულ ცოტა, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. აფხაზეთი — ეს არის საერთაშორისო გაერთიანების მიერ უღიარებელი სახელმწიფო და საქართველოს ნაწილად ითვლება. გასაგებია, რომ ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს არ შეუძლიათ მიესალმონ იმას, რომ რუსეთი ხელს აწერს სეპარატისტულ ხელშეკრულებას საქართველოს რეგიონში. რუსეთში ამას სხვაგვარად უყურებენ — 2008 წლის ომის შემდეგ მოსკოვმა აღიარა აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობანი.

**— თუ ხედავთ რაიმე ახსნას დროსთან დაკავშირებით, რომელიც შეარჩიეს ამ შეთანხმების ხელმოწერისთვის? რატომ ახლა?**

— რასაკვირველია, ეს პირდაპირ არის დაკავშირებული უკრაინის კრიზისთან და მის შედეგებთან. ცხადია, რომ რუსეთმა მოახდინა მნიშვნელოვანი ზემოქმედება აფხაზებზე, რათა განეხორციელებინა თავისი ინტერესების რეალიზება სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, განიმტკიცოს თავისი პოზიციები. კრემლს სურს, რადაც უნდა დაუჯდეს, მოახდინოს აფხაზეთის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის თეორიული შესაძლებლობის ლიკვიდაცია. და დღეს მოსკოვი იყენებს ამჟამინდელ ვითარებას, რათა უჩვენოს როგორც საქართველოს, ისე დასავლეთს, რომ მთლიანად ფლობს სიტუაციას, ასე ვთქვათ, აბანოს წინა ოთახში. ალბათ, ეს ასევე არის სიგნალი მოლდოვის მიმართულებითაც, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გაიმართოს პარლამენტის არჩევნები. მოსკოვი აშკარად გვაგრძნობინებს, რომ თავისი რეგიონები „კონტროლქვეშ“ ჰყავს.

**— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეთანხმებას უწოდა რუსეთის ნაბიჯი აფხაზეთის ანექსიისკენ. სურს თუ არა რუსეთს ოფიციალურად ჩართოს თავის შემადგენლობაში ახალი ტერიტორია?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსკოვს არ სურს ფორმალურად ჩართოს აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში. იგივე შეეხება სამხრეთ ოსეთსაც. ეს რუსეთს არანაირ სარგებელს არ მოუტანს, არამედ გამოიწვევს კრიტიკის უზარმაზარ ტალღას. ორივე რეგიონი იმდენადაა დამოკიდებული სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით მოსკოვზე, რომ ანექსია არაფერს მისცემს, გარდა დამატებითი ხარჯებისა.

**— კიდევ რა მიზნებს ისახავდნენ მოსკოვი და სოხუმი, როდესაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას?**

— ოფიციალურად ამ დოკუმენტს ეწოდება ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. იგი ჰგავს იმ ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოეწერა მოსკოვსა და მინსკს შორის, თუმცა, ძალთა განაწილება — სრულიად სხვაგვარია. შეთანხმება სამ ძირითად პუნქტს შეიცავს. სამხედრო ნაწილი, რომელიც გვთავაზობს რუსეთის სამხედრო პოზიციების შენარჩუნებასა და განმტკიცებას აფხაზეთში და აფხაზეთ-საქართველოს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, ან სახელმწიფო საზღვარზე — აფხაზეთის თვალსაზრისით. დებულება ეკონომიკურ თანამშრომლობაზე აფიქსირებს სოხუმის დამოკიდებულებას რუსეთის დახმარებაზე.

საინვესტიციო პროექტები უნდა გაიზარდოს. ბოლოს და ბოლოს, რუსეთი ფაქტობრივად კისრულობს ზრუნვას აფხაზეთის სოციალური სისტემისთვის. იყენებს ვალდებულებას პენსიების გადახდის შესახებ აფხაზებისთვის და მათ გადიდებას რუსეთის მეზობელი რეგიონების დონემდე. მიმაჩნია, რომ მიზანი ცხადია — ჩანერგოს აფხაზეთი რუსეთის ინტერესების სფეროში. აქ ვერაფრის ინტერპრეტირებას ვერ მოახდენ. თავის მხრივ, შეთანხმების მომხრეები აფხაზეთში არ კარგავენ იმედს, რომ, როდესაც მიიღებენ რუსეთის მხარდაჭერას, მათი ქვეყანა დადგება ფეხზე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი ისტორიითა და პოლიტიკურად შედარებით დამოუკიდებელ საზოგადოებად. მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს არ მოხდება.

**— უკვე ნახევარი წლის განმავლობაში უნდა გამოჩნდეს გაერთიანებული ჯარების დაჯგუფება. სამხედრო დახმარება აფხაზეთს რუსეთის მხრიდან გაძლიერდება. შეიძლება ველოდოთ ახალ აგრესიას საქართველოს მხრიდან?**

— დაბეჯითებით შემიძლია, ვთქვა, რომ არა. ჯერ ერთი, იქ საზღვარზე ევროკავშირის მეთვალყურეები არიან, მეორეც, საქართველოს მთავრობა შორსაა რაიმე სამხედრო ავანტიურის აზრისგან.

**DW-WORLD.DE**
**DEUTSCHE WELLE**

რას ვჭამთ?

# სამწვადე ქვირიანი ჯოხს!..

## თუ ასეთის საყიდელი ფული გაქვს, ცხადია!

**რამდენიც გნებავთ, ილაპარაკონ ვეგეტარიანელობის ჰუმანურობასა და ადამიანის ორგანიზმზე მის სასიკეთო გავლენის შესახებ, ფაქტი ფაქტად რჩება: ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ხორცის მჭამელია. მეტიც: ძალიან ბევრია ისეთი, ვინც დღეში ერთხელ მაინც რაიმე ხორციანი კერძის ულუფა თუ არ მიირთვა, სულ მშიერია. ამდენად, ხორცის მოხმარება მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც, იზრდება, ოღონდ მრავალი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენთან, ისევე, როგორც უამრავ სხვა რამეში, „მდგომარეობა ოდნავ სხვანაირადაა“.**

საქმე ის არის, რომ ოდესღაც საკმაოდ განვითარებული მესაქონლეობის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობა ახლა თითქმის 90 პროცენტს უცხოეთიდან, უმთავრესად, ბრაზილიიდან, არგენტინიდან და ინდოეთიდან შემოტანილ, თანაც ძირითადად დაბალხარისხიან, ზოგჯერ კი სულაც ორგანიზმისთვის მავნე გაყინულ ხორცს ჭამს. დღესდღეობით ხორცპროდუქტების ადგილობრივი წარმოება, ფაქტობრივად, მთლიანად იმპორტირებულ გაყინულ ხორცს იყენებს. ყოველწლიურად საქართველოში მოსახლეობის მიერ მოხმარებული დაახლოებით 55 ათასი ტონიდან, ადგილობრივი წარმოების ხორცის წილი 10, უკეთეს შემთხვევაში 15 პროცენტს არ აღემატება. ზუსტი ციფრების მოტანა შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზით, რომ შესაბამის სტატისტიკას არავინ არ აწარმოებს, მთლიან ოდენობაზე კი საქონლის იმპორტის განუხრელი ზრდა მეტყველებს. საზოგადოებრივი კვების ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა, ვიპ-პერსონებისთვის უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, იმპორტირებული გაყინული ხორცის მოხმარებაზეა გადასული, რომლის მთვარი „კოზირი“ დაბალი ფასია.

ბოლო სამი წლის მანძილზე განუხრელად იზრდება საქართველოში იმპორტირებული საქონლის, ღორისა და ქათმის ხორცის, ასევე სუბპროდუქტების მოცულობა. იმპორტის ზრდა კი, თავისთავად, იმის ნიშანია, რომ პროდუქციაზე მოთხოვნა მატულობს — მას როგორც კერძო მომხმარებლები ყიდულობენ, ასევე, ცხადია, დაბალი ფასების გამო, ყველანაირი სწრაფი კვების ობიექტი, კაფე, რესტორანი, სახინკლე თუ სხვა მოიხმარს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ საქართველოში იმპორტირებული ხორცი შედარებით დაბალხარისხიანია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ იმპორტიორი ბაზარზე, ბუნებრივია, იაფიანი, თუმცა კი, ვარგისი პროდუქციის შეძენას ცდილობს, რადგან ამ შემთხვევაში მოგების დონე გაცილებით მაღალია, მეორეც ის, რომ ხორცის ხარისხის კონტროლი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მწარმოებელ და არა დანიშნულების ქვეყანაში, ამ შემთხვევაში საქართველოში ხდება. ამავე დროს, საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, ვიდრე საქართველოში იმპორტირებული ხორცი შემოვიდოდეს, იგი კონტროლის რამდენიმე ეტაპს გადის. კერძოდ, სურსათის უვნებლობის სამსახური თავის წარმომადგენელს ხორცის იმპორტიორ ქვეყანაში გზავნის და მის მწარმოებელ საწარმოს ადგილზევე ამოწმებს. ამის შემდეგ საიმპორტო ხორცის პარტიას ლაბორატორიული შემოწმება საბაჟოზე უტარდება.

თავისთავად გაყინული ხორცი, ცხადია, მოხმარებისთვის საშიში არ არის, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მისი შენახვის მთელი ტექნოლოგიური ციკლი მოთხოვნების შესაბამისადაა დაცული. ამიტომ, გარდა აღნიშნული შემოწმებისა, გაყინული ხორცი სათანადო შემოწმებას მაღაზიებსა და ბაზრებში, ზოგადად, სარეალიზაციო ქსელშიც გადის. ამავე დროს, ცხადია, პერმანენტულად გაყინული ხორცის ხარისხის მონიტორინგს მომხმარებელთა უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიც აწარმოებენ, თავად მყიდველებიც ხშირად ფხიზლად არიან, თუმცა კი, ყველაფერი ეს, ცხადია, პანაცეა არ არის და ყოფილა შემთხვევები, როცა ასეთი პროდუქციის ჯანმრთელობისთვის საშიშროება უკვე ადგილზე დაუდგენიათ. ამას, ჩვეულებრივ, მთელი პარტიის სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება და შემდგომ განადგურება მოჰყოლია.

მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, გაყინული ხორცის დაბალი ფასის გამო მიმზიდველობის მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ მისი ხარისხი, ახალ ხორცთან შედარებით, გაცილებით დაბალია, თანაც მისი დიდი ნაწილი (თუ არა ერთიანად ყველა!) ჰორმონალური მანიპულაციების შედეგადაა მიღებული. კერძოდ, სტეროიდულ ჰორმონებს ინტენსიურად იყენებენ საქონლის კუნთოვანი მასის მოსამატებლად, და ხორცი, არსებითად, სწორედ ამ ბიოქიმიური ჩარევების შედეგად ღირს იაფი. არადა, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ სტეროიდული ჰორმონები ადამიანის ორგანიზმისთვის იმის გამოა საშიში, რომ ისინი არ იშლებიან (დუღილსაც კი უძლებენ!) და დიდი ხნის მანძილზე ნარჩუნდებიან, ხოლო გარკვეული ოდენობით დაგროვების შედეგად, არღვევენ ნივთიერებათა ცვლას. ამას კი ონკოლოგიურ დაავადებათა გავრცელება, მამაკაცებში სექსუალური ფუნქციის შესუსტება და ქალთა უნაყოფობა მოსდევს...

**ოთარ ტურაბელიძე**

## დედამიწის ზურგზე



**მექსიკაში პრეზიდენტის მიერ დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმის გამოცხადების დღეს 11 ცხედარი აღმოაჩინეს**

11 თავმოჭრილი, ნაწილობრივ დამწვარი გვამი აღმოაჩინეს მექსიკის შტატ ჰერეროში. ორი თვის წინათ ამავე შტატში უგზო-უკვლოდ დაიკარგა და, სავარაუდოდ, მოკლეს 43 სტუდენტი, რის შემდეგაც მათმა აღშფოთებულმა მეგობრებმა მოითხოვეს სახელმწიფოს მეთაურის ენრიკე პენია ნიეტოს გადადგომა.

* * *

**ბრიტანეთის სასამართლომ „რუსნეფტს“ უარი უთხრა, შეაჩეროს კანონი ევროკავშირის მიერ სანქციების დაცვის კონტროლის შესახებ**




„რუსნეფტის“ ადვოკატები, მიუთითებდნენ რა სანქცირებული ფორმულირებების იურიდიულ არაერთმნიშვნელობაზე, სთხოვდნენ სასამართლოს, გადადოს ნოემბრის დასაწყისში ხელმოწერილი ბრძანების ძალაში შესვლა საექსპერტო კონტროლის შესახებ, რომლის თანახმადაც სანქციების დარღვევა დაისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით. მაგრამ სასამართლომ მათი დასკვნები ყურად არ იღო.

* * *

**კემერონი დაიმუქრა, რომ ბრიტანეთი გამოვა ევროკავშირიდან, თუ ქვეყანას არ მისცემენ ნებას შეზღუდოს მიგრანტები**



დიდი ბრიტანეთის ყოფნა ევროკავშირის შემადგენლობაში დამოკიდებული იქნება იმაზე, მისცემენ თუ არა ქვეყანას ნებას მოახდინოს საიმიგრაციო სისტემის რეფორმირება, შეზღუდოს იმიგრანტებისთვის სოციალური პრეფერენციების სისტემის სიუხვე. ამის შესახებ, ადრე გავრცელებული რემარკების თანახმად, პარასკევს გამოაცხადებს ქვეყნის პრემიერი დევიდ კემერონი.

* * *

**გრიგალმა ბრისბენში სახლებს სახურავები ახადა: ნალექების თვიური ნორმა ნახევარ საათში მოვიდა**

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენს თავს დაატყდა ათეულობით წლების განმავლობაში უძლიერესი გრიგალი, რომლის სიჩქარეც საათში 140 კილომეტრია. დაზარალდა თითქმის 40 კაცი, უშუქოდ დარჩა 90 ათასი სახლი. ქარიშხალი ფესვებიანად თხრიდა ხეებს, აყირავებდა მსუბუქმოტორიან თვითმფრინავებს აეროპორტებში.



## ნატურიდან

# ბენიტო მანქანას დაეჯახა?!

რა გაეწყობა, არ მინდოდა მკითხველისთვის, რომელიც საქართველოს მთავრობის დასავლური კურსიდან გადახვევის მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე ევროპელ და ამერიკელ პარტნიორთა მკვახე-მკვახე განცხადებებმა ზომაზე მეტად გაანერვიულა, დამატებით კიდევ ახალი სანერვიულო მიმეცა, მაგრამ უთქმელობაც რომ აღარ შეიძლებოდა? ჰოდა, გადავწყვიტე, ძვირფასებო, გაგიმხილოთ ტრაგედია, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ მოხდა და რომელმაც თქვენი საყვარელი ჟურნალისტის ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დააყენა. შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ იმ მარცხიან დილას, ლოგინიდან ახლად წამომდგარ ბენიტოს (მეტსახელად ზორბეგას), რომელსაც თვალების ფშვნეტით გაზეთ „ექსპორტ-იმპორტის" რედაქციაში, სადაც ის უცხოეთთან ინტეგრირების განყოფილებას უძღვება, მიეჩქარებოდა, დღისით-მზისით ვიღაც ახვარი მსუბუქი ავტომობილით დაეტაკა და ამაგდარი შემოქმედი მძიმედ დააზიანა.

წევს ახლა საწოლს მიჯაჭვული, ქვეყანაში სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ბენიტო ბატონი და მძიმედ განიცდის არა იმდენად საკუთარ მარცხს (მოტეხილი აქვს საგაზეთო შედევრების მთხზველი მარჯვენა ხელი და ნიადაგ რეპორტაჟებზე მარბენალი მარცხენა ფეხი), რამდენადაც ევროსივრციდან მისი გამოთიშვით ქვეყნისათვის მოსალოდნელ წარუმატებლობას. ერთადერთ მანუგეშებლად დამტვრეულ ჟურნალისტს ისღა დარჩენია, რომ საკუთარ ბინაზე, სადაც ის მკურნალობის კურსს გადის, ყოველდღიურად უამრავი კოლეგა და მეგობარი აკითხავს. ახლაც, კოლეგის სანახავად მისულს, მის სასთუმალთან შემოკრებილი დამხვდნენ „ექსპორტ-იმპორტის" ცნობილი ქუჩკორი (ქუჩის კორესპონდენტი) ვალერა, ევროპასთან მოინტეგრირე ჟურნალისტი ნიკუშა, გაზეთის მხატვარ-მოდელიორი მახო (იგივე მამუჩა), მიუკერძოებელ ექსპერტებთან პერმანენტულად მოსაუბრე თეონა და კიდევ ვინ აღარ.



— ბენიტო, ძმაო, — ვეუბნები, — აბა მომიყევი ავარიის ამბავი, არ დამიმალო, მართლა ავტომანქანა დაგეჯახა თუ შენ თავად დაეჯახე?

— გაგიჟდი, შე ჩემა, — მოშლილი ტრაქტორივით ათუხთუხდა ბენიტო, — გინდა თქვა, რომ იმ დილაადრიან ნაყლურწი ვიყავი, ქუჩაში მივბანცალებდი და მანქანას შუბლით დავეტაკე?

— მე რა მინდა, ტო, ხალხი ასე ლაპარაკობს.

— რომელი ხალხი, ჯიგარ, ენაბილწი ნაცები? უუ მაგათი! (შეიკურთხა). ამას წიანთ ერთი აშარაშკა გოგო მოვიდა, ვითომ ჩემ სანახავად. იმ გომბიომაც შენსავით იაზვურად დამისვა კითხვა.

— როგორ თუ იაზვურად?

— უი, ბატონო ბენიტო (მეჭყანება, თანაც უკანალს ათამაშებს), ეს რა დაგმართიათ, დავიჯერო, არყისგან ისეთი გათიშული იყავით, რომ მანქანას ქალისგან ვეღარ არჩევდით და სექს-ინერციით დაეჯახეთო?

— აბა როგორ, უნდა დაიჯეროთ, — დავამშვიდე, — თქვენ ისეთი ჭკუის კოლოფი ჩანხართ, რომ არ დაიჯეროთ, ძალიან მაწყენინებთ-მეთქი.

— კაცო, მაგ გოგოს შემთხვევით ჩიორა ხომ არ ერქვა? — დავინტერესდი მე.

— აფსუს, რატო აქ არ ვიყავი? — დაიბრახუნა გულზე ხელი ვალერამ, — ნახავდი, მაგ იხვნისკარტა ჩიორას რა წერტილოვანსაც ვგლეჯავდი!...

— შენ რის მგლეჯავი ხარ, ტო, — იწყინა ბენიტომ, — ჩიორა დაიბრიყვე არა? თუ ვაჟკაცი ხარ, მიდი აბა ეგ შენი წერტილოვანი (ფრაზები) ჩიორას დაქალ ირმასა გლიჯე!

— რა მნიშვნელობა აქვს, ბენიტო უფროსო, მოისაწყლა თავი ვალერამ, — მაგათ სახელები აქვთ სხვადასხვა, თორემ ისე ყველანი ერთნაირი მოსისინე გველები არიან.

— ბენიტო, კაცო, რა გლაჯუნი აგიტყდათ ამ პოლიტიკურ უამინდობაში, — ვსაყვედურობ, — ნუთუ ვერ მიხვდი, ეგ წუნკალი გოგო რა ვიზიტით გეწვია?

— არხეინად იყავი, ყველაფერსაც მივხვდი, ნაცებს ამ საქმიდან გამოძრომა უნდათ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. აი, ნახავთ, მოწმეები სასამართლოზე ყველაფერს დაამღერებენ.

— ვაა, მოწმეებიც გყავს? — გავიკვირვე.

— მყავს რომელია, მათ საკუთარი თვალით უცქირეს, ნაცებმა მძღოლი ჩემთან დასატაკებლად რა ენთუზიაზმით შეამზადეს.

— გასაგებია, მაგრამ ხო შეიძლება, როგორც სჩვევიათ, ამჯერადაც იმამაძაღლონ და კოჰაბიტაცია შემოგთავაზონ?

— შეითხარონ ეგ რაღაც კოჰაბიტაცია უკანალში (აღშფოთებული ბენიტო დაუკრეფავში გადავიდა), მეოცნებე კი არა ვარ, რომ ნაცებს წავუწვე, მე ჩემი ქვეყნის მოყვარული, პატრიოტი კაცი ვარ.

— იმ ოღრაშ გოგოს არ უთხარი, რომ პატრიოტი ხარ?

— პატრიოტი რომ ხარ, მაგიტომ ხარ ჩამორჩენილი და ეგოისტიო. შენ მარტო საკუთარი ქვეყანა კი არა, მსოფლიო უნდა გიყვარდეს, იელოველები და პედერასტები არ უნდა გძულდეს და ქვებს არ ესროდეო. ასე რომ არ იქცევი, იმიტომ ხარ ხალხთმოძულე და პუტინის მონაო.

— პუტინი საიდანღა მოიტანეს?

— ალბათ იქიდან, მსოფლიო რომ მიყვარს.

— მაგრამ პუტინი ამ მსოფლიოში არა ცხოვრობს?

— ჰკითხე აბა, ნაცებს რას გაუგებ, წინაც ენა აქვთ და უკანაც. მაგათი აზრით, თუ იელოველი და პედერასტი არა ხარ, მაშინ პატრიოტი, გოიმი და პუტინის მონა ხარ. ჩემთან ასეთი რიჟა ბაზარი არ გაუვათ, აქ თუ ვერ გავიტანე სიმართლე, სტრასბურგამდე მივყვები და ყველას ერთად ჯოჯოხეთის გზას გავუყენებ.

— მიდით, მიაწექით, ბენიტო უფროსო, და ჩვენც მოგყვებით, — შეაგულიანეს ნაცებისგან დამტვრეულ-დაბეჟილი ჟურნალისტი თანამოკალმეებმა.

— აგაშენათ ღმერთმა, — გახალისდა ბენიტო, — გუშინ გავიგე ჩემს იქ არყოფნაში „ნასკების" ბიზნესი წამოგიწყვიათ და გამიხარდა. ნიკუშა, ძმაო, ვიცი, ამ საქმეს შენ ითავებდი.

— არა, ბენიტო უფროსო, ამ თაოსნობას მე ვერ დავიბრალებ, რედაქციაში ახალი მუშაკი, ჩუღურეთელი კუკურა შემოგვემატა და ბიზნესიც იმან წამოიწყო.

— კარგია, კარგი, — მოიწონა ბენიტომ, — იქნებ გაზეთი როგორმე გაჭირვებიდან ამოვიდეს. როგორც ვიცი, ივანიშვილმაც ასეთი წვრილმანებით დაიწყო და აგე მილიარდებს გამოკრა ხელი. ჰო მართლა, ბიზნესზე გამახსენდა, ვალერა, ბიჭო, ჯიბეში რო არყის ბოთლი გიდევს, უკანვე არ გაგყვეს.

— არ გამყვება, ბატონო ბენიტო, მაგრამ ეგ ვარიანტი ამჯერად, ვფიქრობ, არ გამოვა.

— რატომ არ გამოვა?

— ბოთლს ბალიშის ქვეშ ამოგიდებდი, მაგრამ შენმა მეუღლემ რო ნახოს, მეშინია, მარჯვენა ხელს მარცხენა არ მიაყოლოს.

— შენც კარადაში შედგი, არ დაიკარგება.

— შევდგამდი, მაგრამ რა გამოვა, შენით ვერ დადიხარ, ბოთლი კიდევ თავისით ვერ მოვა!

— ვაი დედასა, — იჩქმიტა ჯანმრთელ ფეხზე ბენიტომ, — სულ რომ მეფიქრა, იმას როგორ დავიჯერებდი, რომ ძაღლიშაქნილი ნაცები ჭიქა არაყს დამანატრულებდნენ. წამოვდგე, ამას არ შეგარჩენთ, წუნკლებო!

**ოტია ჩართოლანი**

## თავაშვებულობა

# პრეზიდენტის დარად ბიუჯეტის ხარჯზე გრიალს არც სხვა მაღალჩინოსნები იკლებდნენ

**ის, რომ დასასვენებლად პრეზიდენტი სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილ თანხებით იყენებდა საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილია. ანალიტიკოსების გაკვირვებას ის იწვევს, რომ მასთან დაახლოვებული მაღალჩინოსნებიც საკუთარი 2-3-დღიანი არამიზნობრივი დასვენებისთვის დაუბრკოლებრივ ღებულობდნენ საბიუჯეტო თანხებს.** რასაკვირველია, სააკაშვილის ნებართვითა და ხელდასხმით. სააკაშვილს ხანმოკლე განტვირთვების დროს თან უახლოესი სახელმწიფო მოღვაწეებიც დაჰყავდა. რაც მთვარია, ნაციონალიები იმდენად იყვნენ ხელისუფლებაში სამუდამო, თუ არა, ხანგრძლივ ყოფნაში დარწმუნებულნი, რომ მყარად ჰქონდათ გამჯდარი განუკითხაობის და უკონტროლობის სინდრომი და „გრიალისთვის" სახელმწიფოს თანხების არამიზნობრიობის შესანიღბად თავს არ იკლავდნენ. ამის ერთ-ერთი წყარო სახელმწოფო დაცვის სპეციალური სამსახურის (შემდგომში სდსს) ხარჯთაღრიცხვაა. მისი ზედაპირული გაცნობითაც კი ნათელი ხდება თუ რასთან გვაქვს საქმე, ამტკიცებენ სპეციალისტები.

ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ იმჟამინდელი პრეზიდენტი 3 თანაპარტიელთან — მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძესთან, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ვარშალომიძესა და ვინმე გლუკსმანთან ერთად 2012 წლის გაზაფხულზე 2 დღით გაურკვეველი მიზეზით (მიზანი, ალბათ, ცხადია — **ზ. ბ.**) ტაილანდში წავიდა, რაც ბიუჯეტს 128 ათასი ლარი დაუჯდა. თანხა სდსს-ს ანგარიშიდან იყო მოხსნილი „მაღალს" ეს განტვირთვისთვის არ ეყო და რამდენიმე დღეში არასამასახურებრივი აუცილებლობისთვის მარტო წავიდა დუბაიში. იქ უმაღლესი დონის სასტუმროში 4 დღე გაატარა, სუპერ მომსახურებით, რისთვისაც სპეციალური ანგარიშიდან ყოვედღიურად 18 ათასი ლარი იხსნებოდა.

უკვე უფლებაშეკვეცილი სააკაშვილი, ნაცების რუპორის — „რუსთავი-2"-ის მეშვეობით აანონსებს, რომ პრეზიდენტი და მისი გუნდი 2013 წლის შესახვედრად მიემგზავრება ავღანეთში ქართული საჯარისო კონტინგენტისთვის ახალი წლის მისალოცად, სინამდვილეში ტელეკომპანიამ მოგვატყუა. აწ უკვე პრეზიდენტყოფილი ახალ წელს ჰამქართან ერთად შეხვდა დუბაიში ფეშენებელურ „როიალ მირაჟში", სადაც ერთი ღამის გათევა 2-კაციან ნომერში თითოეულისთვის 450 აშშ დოლარი ჯდება. ყაზარმის ნაცვლად ახალ წელს 7-ვარსკვლავიან სასტუმროში შეხვდნენ: ალანა გაგლოევა (ჯერ კიდევ მაშინ პრეზოდენტის უკვე ყოფილი პრეს-სპიკერი), პარლამენტარები მარიამ საჯაია, კობა ხაბაზი, ნუგზარ წიკლაური, ზურაბ ჭიაბერაშვილი, მომღერალი დეპუტატი გოგა ხაჩიძე, ცესკოს ყოფილი ხელმძღვანელი ლევან თარხნიშვილი, ასევე საზოგადოებისთვის უცნობები, სამირა ისმაილოვა და აზერ სულეიმანოვი. ხალხის ფულიდან ექსპრეზიდენტისა და მისი გუნდის ვოიაჟისთვის 218 ათასი ლარი დახარჯა. „რუსთავი-2" კი ჩრდილო კორეის ტელევიზიისთვის დამახასიათებელ (სადაც მაყურებელს მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს ამ ქვეყნის ფეხბურთელები ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულები გახდნენ, მოუგეს რა ფინალი ბრაზილიას 3:0) სიუჟეტებს გვთავაზობდა, როგორ შეხვდა სააკაშვილი ავღანეთში საქართველოდან წარგზავნილ ფარაჯიანებს (გამოყენებულია ტექნიკური მონტაჟის უახლესი საშუალებები არქივიდან და ა.შ).

„მაღალ" გია ბარამიძესა და არველაძესთან ერთად იტალიაში ქ. მარენოს სანატორიუმში 5 დღე ეძლეოდა განცხრომას, რაც სდსს-ის ხარჯთაღრიცხვით 80 ათასი ლარი დაჯდა. იმავე დოკუმენტის მიხედვით ბიუჯეტიდან კოლოსალური თანხები დაიხარჯა კორეელ მოდელ ლისიუ იონის მომსახურებაზე ლოს ანჟელესიდან სეულში ჩამოყვანა-გამგზავრებისთვის. გადამხდელთა გადასახადიდან ფული იხარჯებოდა პრეზიდენტის მასაჟისტებზე და ა.შ. საჩუქრებსაც ყიდულობდნენ სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან არა მხოლოდ „შეკვეთით" ჩამოყვანილებზე, არამედ სააკაშვილის მეოხებით პარლამენტში მოხვედრილ თინათინ ბოკუჩავასთვის, მარიამ საჯაიასა და სხვა მრავალთათვის. ფუფუნებას არც მისი მეუღლე, საქართველოს იმჟამინდელი პირველი ლედი სანდრა რულოვსი იკლებდა. ასტრონომიულია მისი აშშ-ში განცხრომით ცხოვრების საფასური.ბიუჯეტიდან იფარებოდა მისი ვაშინგტონში სასტუმრო „Park Hayat"-სა და მაიამიში „Ritz Carliton South Beach"-ში (სადაც ერთი ნომრის ფასი დღე — ღამეში შესაბამისად 450-500 დოლარიდან იწყება), შვილის აშშ-ში სწავლება, დისნეი-ლენდები, გართობები. ყოველივე ეს ბიუჯეტს აწვა კისერზე. ხედავდნენ რა „პირველის" თავაშვებულობას, გუნდის ელიტამაც დაიწყო მიბაძვა. განსაკუთრებით ოქტომბრის წაგებული არჩევნების შემდეგ. „რუსთავი-2"-ის მიერ საახალწლოდ პრეზიდენტის ავღანეთში ქართველ სამხედროებთან ჩასვლით შეფუთული „მაღალისა" და უახლოესი გარემოცვის გასეირნებამდე, იმავე ქალაქის უმაღლესი ხარისხის სასტუმროში (დღე-ღამე 450 დოლარი) რამდენიმე დღე დაჰყვეს სახელმწიფო ბიუჯეტის მხვრელმა ნაცებმა, ხოლო 2013 წლის 18-20 იანვარს „როიალ მირაჟსა" და ფეშენებელურ სასტუმრო „სოფიტელ"-ში ისვენებდა საქართველოს სახელწიფო დელეგაცია არასახელმწიფოებრივი მიზნებით. პარლამენტარებმა გოკა გაბაშვილმა, გიორგი ვაშაძემ, დავით დარჩიაშვილმა, აკაკი მინაშვილმა, ზურაბ ჯაფარიძემ, გიორგი თევდორაძემ, თბილისის იმჟამინდელმა მერმა, ამჟამად პასუხისგებაში მყოფმა გიგი უგულავამ, მათმა მუდმივმა თანამეინახემ ალანა გაგლოევამ და ახლა საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვის მოწინააღმდეგე ირმა ნადირაშვილმა სდსს-ის ანგარიშიდან არაბეთის საემიროებში 2 დღის გრიალისთვის 120 ათასი ლარი მოხსნეს.

ეს მხოლოდ ეპიზოდია საბიუჯეტო სახსრების ნაციონალური ხარჯვისა საკუთარი სიამოვნებისთვის. ისიც მხოლოდ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯთაღრიცხვიდან და მხოლოდ 2012-13 წლებში. ამის გამკეთებელთ ნამდვილად არა აქვთ მორალური უფლება, სხვის დარღვევებზე ილაპარაკონ. ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში, მათ აუცილებლად მისცემდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ამტკიცებენ იურისტები, საზოგადოებათმცოდნეები.

**ზაზა ბილიხოძე**

## ალიანჩალიანი

### ქურდობის ფაქტი გახსნილია

**სამართალდამცავებმა ოზურგეთის რაიონის სოფელ ოზურგეთში მომხდარი ქურდობის ფაქტი გახსნეს. შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ბექა მ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ნოემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ოზურგეთში, მოქალაქის საცხოვრებელ სახლში ფარულად შეაღწია, საიდანაც მოიპარა 700 ლარი, საოჯახო ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან სამ დღეში სოფელ ოზურგეთში დააკავეს. ნაქურდალი თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

ინტერპრესი

კალათბურთი

# ეს არწივი ძალიან მაღლა აფრინდა

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეშვიდე ტურში გვასახელა ბასკური „კუჩა ლაბორალის“ დებიუტანტმა თორნიკე შენგელიამ, რომელმაც აქამდე უდანაკარგოდ მოთამაშე „ოლიმპიაკოსის“ დაჩოქებაში ლომის წილი დაიდო — 89:70.**

14 ქულა და 5 მოხსნა — ასეთია ქართველი ლეგიონერის პირადი მონაგარი. დავძენთ, რომ მისმა სარგებლიანობის კოეფიციენტმა 22-ს უწია, ხოლო ვიტორიელებმა ამ გამარჯვებით დიდი ნაბიჯი დადადგეს პლეი-ოფისკენ.

დღის გმირად უყოყმანოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ყაზანის „უნიქსი“, რომელმაც მადრიდში „რეალთან“ დაუვიწყარი სპექტაკლი დადგა — 85:75.

სამწუხაროდ, პარტნიორთა ტრიუმფში საკუთარი წვლილის შეტანის საშუალება თითქმის არ მისცემია ვიქტორ სანიკიძეს, რადგან სტუმართა სამწვრთნელო შტაბმა მისთვის სარბიელზე გასასვლელად მხოლოდ 3 წუთი გაიმეტა.

რაც შეეხება კიდევ ერთ „ჯვაროსან“ მანუჩარ მარკოიშვილს, მან ტრავმა უკვე მოიშუშა და ცსკას ისრაელშიც ახლდა თან, თუმცა გარისკვა საჭირო არ გახდა — არმიელებმა უმისოდაც გააცამტვერეს „მაკაბი“ — 84:61.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ფეხბურთი

# ევროპის ლიგის პარადოქსები



**შეიძლება მეტოქის კარისკენ 35-ჯერ(!) დაარტყა და მაინც მშრალი ანგარიშით დამარცხდე? თურმე, შესაძლებელი ყოფილა.**

**სწორედ ასე დაემართა გერმანულ „ვოლფსბურგს“, რომელიც შინ გამუდმებით უტევდა ლივერპულის „ევერტონს“, თუმცა კაპიტულაციაზე ხელმოწერა მაინც მოუწია — 0:2.**

ევროპის ლიგის ჯგუფური ტურნირის ოთხი ტური ისე მიილია, ბრატისლავის „სლოვანს“ გოლი არ გაუტანია. სლოვაკებმა ნავსი შინ შვეიცარიულ „იანგ ბოიზთან“ გატეხეს“ — 1:3, რაც, დაგვეთანხმებით, ვერაფერი შვებაა — გუნდს ხომ ჯერ ქულაც არა აქვს აქტივში.

იგივე შეიძლება ითქვას ბელარუსის ვიცე-ჩემპიონ მინსკის „დინამოზე“, რომელიც ამჯერად შინ საბერძნეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ პაოკ-თან შერცხვა — 0:2.

**V ტურის დანარჩენი შედეგები:** მოსკოვის „დინამო“ — „პანათინაიკოსი“ 2:1, „კრასნოდარი“ — „ლილი“ 1:1, „გენგამი“ — „ფიორენტინა“ 1:2, „ოლბორგი“ — „სტიაუა“ 1:0, „სპარტა“ — „ნაპოლი“ 0:0, „სელტიკი“ — „ზალცბურგი“ 1:3, კიევის „დინამო“ — „რიუ ავე“ 2:0, „სენტ ეტიენი“ — „ყარაბაღი“ 1:1, „ფეიენოორდი“ — „სევილია“ 2:0, „ტრიპოლისი“ — „ბეშიქთაში“ 2:2, „ლოკერენი“ — „ლეგია“ 1:0, „ტორინო“ — „ბრიუგე“ 0:0, „რიეკა“ — „სტანდარდი“ 2:0, „ვილიარეალი“ — „გლადბახი“ 2:2, „ტრაბზონსფორი“ — „მეტალისტი“ 3:1, „ასტრა პლოეშტი“ — ზაგრების „დინამო“ 1:0, ჰიკი — „კოპენჰაგენი“ 2:1, „ტოტენჰემი“ — „პარტიზანი“ 1:0, „ინტერი“ — „დნიპრო“ 2:1, „ციურიხი“ — „აპოლონი“ 3:1, „ეშტორილი“ — „ეინდჰოვენი“ შეწყდა 3:2-ზე.

**გიორგი შოთაძე**

ქერის ორმოში

# 200 მილიონი — მესის სანაცვლოდ

**როგორც „დეილი ექსპრესი“ იტყობინება, ლეო მესის შეძენა ლონდონის „ჩელსის“ სურს. აღნიშნული წყარო დამატებით ინფორმაციასაც ავრცელებს, რომლის თანახმად 27 წლის ფეხბურთელმა ლონდონის „არსენალისა“ და „მანჩესტერისგანაც“ მიიღო ანალოგიური წინადადება, თუმცა მისი სურვილი „ჩელსიში“ გადასვლაა და ზაფხულში კონტრაქტის გაფორმებას ჟოზე მოურინიოს გუნდთან გეგმავს.**

ლეო მესის სატრანსფერო თანხად 200 მილიონი გირვანქა სახელდება. გაზეთის ცნობით, მესის სურს მეგობარ სესკ ფაბრეგასის თანაგუნდელი გახდეს, ამიტომაც სუპერვარსკვლავმა „მეთოფეები“ და „წითელი ეშმაკები“ უარით გაისტუმრა.

**ბადრი იაშვილი**






ჯანმრთელობა ყველას უნდა

# პალატაში მეფეა...

**ორიოდე კვირის წინათ პელეს თირკმლიდან კენჭები ამოუღეს. თითქოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უკან დარჩა და ფეხბურთის მეფე შობა-ახალ წელს ჩვეული სიხალისით უნდა შეხვედროდა, მაგრამ...**

ამ დღეებში 74 წლის გვირგვინოსანი სან-პაულუს იმავე კლინიკაში აღმოჩნდა, სადაც ახლახან ოპერაცია ჩაუტარდა. ამჯერად ექიმებს ინფექციურ სნეულებასთან გამკლავება მოუწევთ.

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# მარეიმ ორი მწვრთნელი დაითხოვა



**მსოფლიო რეიტინგის მე-6 ნომრის, ბრიტანელი ენდი მარეის და მისი მწვრთნელების დანიელ ვალვერედუს და ჯეზ გრინის გზები გაიყარა. ამ ინფორმაციას ჩოგბურთელის ოფიციალური ვებსაიტი ავრცელებს. გრინი მარეის ფიზმომზადების მწვრთნელი 5 წელი იყო, ხოლო დანიელ ვალვერედუ ამელი მორესმოს ასისტენტი გახლდათ.**

„სეზონის ბოლოს ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს გადაწყვეტილება საუკეთესო ვარიანტი იყო ყოველი ჩვენთაგანისთვის. ჯეზს და დანიელს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ“, — განაცხადა შოტლანდიელმა.

მარეის ამჟამად ფრანგი ამელი მორესმო წვრთნის, რომელსაც საჩოგბურთო კარიერაში 2 დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული - ავსტრალიის ღია პირველობა და „უიმბლდონი“ .

**ბეჟან დოლიძე**

ეპოქის დასასრული

# ასეთები არ კვდებიან



**ამ დღეებში სპორტული სამყარო ვიქტორ ტიხონოვს გამოეთხოვა. რომ ვთქვათ, ეს დიდი დანაკლისიაო, ჩათვალეთ, რომ არაფერი გვითქვამს. ამით მთელი ეპოქა დასრულდა!**

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების ლეგენდარულ თავკაცზე მოგახსენებთ, რომელმაც გუნდს სამჯერ ოლიმპიურის, რვაჯერ მსოფლიოს და თერთმეტჯერ ევროპის ჩემპიონის გვირგვინი დაადგა. სწორედ „ვასილიჩის“ სახელს უკავშირდება ცსკას სწორუპოვარი დამრტყმელი ხუთეულის — ფეტისოვ-კასატონოვ-მაკაროვ-ლარიონოვ-კრუტოვის შექმნა და დაოსტატება, შიშის ზარს რომ სცემდა როგორც უძლიერეს ჩეხ, შვედ და ფინელ მეტოქეებს, ისე ყინულის კანადელ-ამერიკელ ჯადოქრებს.

გენიალური მწვრთნელის სიცოცხლე მის სეხნია შვილიშვილში გრძელდება, რომელიც წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# სამუელ ეტოომ თავისი შვილების დედაზე იქორწინა

**ფეხბურთის ლეგენდარული, თუმცა უკვე გვარიანად მობერებული კამერუნელი ვარსკვლავი სამუელ ეტოო როგორც იქნა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მის მდგომარეობაში და მის ასაკში გერლფრენდ-ბოიფრენდობა ცოტა უხერხული ამბავია და ცოლის ოფიციალურად შერთვა გადაწყვიტა.**

სამუელმა ცოლად მისი ოთხი შვილის დედა და ბოლო 10 წლის განმავლობაში გულისსწორი ჟორჟეტა მოიყვანა, რომელიც, სამუელისა არ იყოს, დაღალა ჟურნალისტების მუდმივმა შეკითხვებმა იმასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს როდის გაოფიციალურდებოდა მათი ურთიერთობა.

სამუელისა და ჟორჟეტას ოფიციალური ქორწინება იტალიის უძველესი ქალაქის კომოს პატარა და ლამაზ ეკლესიაში შედგა. ქორწილში ჟორჟეტას და სამუელის რამდენიმე მეგობარი და ქალაქ კომოს მერიც იყო მიწვეული. როგორც კამერუნელი მეგოლე ამბობს, ეს დღე მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი იყო.

**როსტომ რაჭველიშვილი**



დაფასება

# ეთერ კაკულიას ვარსკვლავი...



საყვარელ მომღერალს, ქართული ესტრადის ვარსკვლავს ეთერ კაკულიას 29 ნოემბერს თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან...

**ეთერ კაკულიამ თავისი შემოქმედების მანძილზე სხვადასხვა კომპოზიტორის 200-მდე სიმღერა შეასრულა.**

როგორც ცნობილია, ეთერ კაკულია რამდენიმე თვეა, ავადმყოფობს. მას მძიმე სენი დაუდგინდა. მომღერალი ისრაელშიც იმყოფებოდა, ამ ეტაპზე კი სახლში აგრძელებს მკურნალობას და მის გადარჩენას როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექიმები ცდილობენ. ეთერ კაკულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემაც მოინახულა. მანამდე ეთერ კაკულიამ, ისრაელში ყოფნისას უფლის საფლავიც მოინახულა. იქიდან კი ფრთაშესხმული დაბრუნდა.

„ყოველთვის მინდოდა წმინდა მიწაზე წასვლა, მაგრამ ბოლო მომენტში სულ რაღაც მიშლიდა ხელს. ახლა ვფიქრობ, უფალმა გამხადა ავად, რათა მისი საფლავი მენახა.

ძლივს მივედი საფლავთან, ნელა მივდიოდი, ურიგოდ შემიშვეს, რიგში მდგომთ უთხრეს, ავად არისო, მივედი დავადე ხელები საფლავს და ვთქვი, ჩემო საყვარელო უფალო, გემუდარები, ჯანმრთელობა დამიბრუნე.

იქიდან ჩიტივით გამოვედი. თარჯიმანი მეუბნებოდა, რა სწრაფად დადიხარო. საოცარი ძალა მომეცა, არაფერს ვამატებ“, – განაცხადა ეთერ კაკულიამ ერთ-ერთ ინტერვიუში.

საქართველოს დამსახურებული არტისტის, მომღერალ ეთერ კაკულიას საიუბილეო საღამო ფილარმონიაში საქართველოს კულტურის სამინისტროს ორგანიზებითა და დაფინანსებით გაიმართება.

მომღერლის საიუბილეო კონცერტი ფილარმონიაში 20:00 საათზე დაიწყება. მის ნამღერ სიმღერებს ამჯერად ცნობილი ქართველი შემსრულებლები იმღერებენ, თუმცა, ამბობენ, რომ 3 სიმღერას თავადაც შეასრულებს.

ეთერ კაკულია არის ღირსების ორდენის კავალერი, სხვადასხვა ჯილდოს და პრემიის მფლობელი.

„მომენატრა ჩემი ხალხის მოფერება. რამდენიმე თვეა, აღარც კონცერტზე გამოვსულვარ. ვეღარც ვერსად მივდივარ და მინდა, რომ ერთი დიდი ლამაზი კონცერტით მოვეფერო ჩემს ქართველ ხალხს“, – აცხადებს ქალბატონი ეთერი.

**ნატა ნიბლაძე**

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება“** მიესალმება და გულთბილად ულოცავს **დაბადების დღეს და ვარსკვლავის გახსნას** საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, ქართველი ხალხის საყვარელ მომღერალს, კეთილშობილებით, სათნოებითა და თავისი სილამაზით გამორჩეულ კდემამოსილ ქალბატონს **ეთერ კაკულიას**.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და ჩვენი ბედკრული სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

**ღრმა პატივისცემით**
**ბონდო კობაძე**

**ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.**

**მეუღლე მარინა, შვილები ნინო, ზურაბ, თემურ მამუკელაშვილები, შვილიშვილები დათო, სანდრო, ნინო, ირაკლი, ძმისწულები ქეთევან, დავით, ირაკლი მამუკელაშვილები, რძლები მარიანა ოკლეი, ეთერ გვარამია, ბიძაშვილი დავით დათოშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



**ვალერიან მამუკელაშვილი**

**პანაშვიდი 30 XI, 1 XII, 17 სთ. მისამართი: მცხეთა, მ. კოსტავას №42. დაკრძალვა 2 XII, 14 სთ. გამოსვენება სვეტიცხოვლიდან.**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ძველი ერთგული მეგობარი და ავტორი, ცნობილი მწერალი-იუმორისტი და ჟურნალისტი, მცხეთის საპატიო მოქალაქე**

**ვალიკო მამუკელაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**აბელ გეგია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა ძვირფასი მეგობარი, ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი, მცხეთის სიძველეთა ერთგული მცველი და პოპულიზატორი**

**ვალერიან (ვალიკო) მამუკელაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ნათელა, შოთა გამყრელიძეები შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას ქართველი ბავშვთა ფსიქიატრიის მესაძირკვლის, ძვირფასი მეგობრის, პროფესორ**

**მირიან გიორგის ძე მესტიაშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

წიგნის ბაზრობა

# თვალისა და გონების დღესასწაული



**დიდი ზეიმი აქვთ ამ დღეებში წიგნის მოყვარულებს: 27 ნოემბერს, მრავალფუნქციურ ბიზნეს-ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა „თბილისის წიგნის დღეები“ და ეს უდავოდ ღირსშესანიშნავი ღონისძიება თვის მიწურულამდე გაგრძელდება.**

წიგნის ამ ჭეშმარიტ დღესასწაულში, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი გრანტის სახსრებით იმართება, მონაწილეობას იღებს საქართველოს თერთმეტი გამომცემლობა, მათ შორის, „ბაკურ სულაკაური“, „დიოგენე“,„ინტელექტი“, „პალიტრა L“, „არტანუჯი“, საბავშვო „დილა“, „ბაკმი“, „აწმყო“, „პეგასი“, „კლიო“, „საუნჯე“, ასევე სამ ათეულზე მეტი წიგნის სახლი და მაღაზია.

„თბილისის წიგნის დღეების“ ფარგლებში, „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში გამართული გამოფენა-გაყიდვის გარდა, ასევე არაერთი საგანმანათლებლო, საინფორმაციო და შემოქმედებითი ღონისძიება ეწყობა. ესენია, კერძოდ, დისკუსია წიგნისა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარების შესახებ, წიგნის ხელოვნებისა და უნიკალურ გამოცემათა ქართული და საერთაშორისო გამოფენები, წიგნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ვორქ-შოფები, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებები მოზარდებისთვის, აგრეთვე ლექციები წიგნისა და ლიტერატურის მსოფლიოს დიდი ფესტივალის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წიგნის ბაზრობაზე ყველა სტუმარს სასურველი წიგნის მნიშვნელოვანი (ზოგ შემთხვევაში, 90-პროცენტიანი!) ფასდაკლებით შეძენა შეუძლია. ორგანიზატორთა განმარტებით, „ღონისძიების ძირითად ამოცანას გაერთიანებული პლატფორმის შექმნის გზით საქართველოში არსებული გამომცემლობების მხარდაჭერა წარმოადგენს“.

„თბილისის წიგნის დღეების“ ფარგლებში მნახველთათვის განსაკუთრებულად მიმზიდველია მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების და თანამედროვე ქართული, უკრაინული და ირანული საბავშვო ილუსტრაციების, ასევე ალტერნატიული და ექსპერიმენტული საერთაშორისო წიგნისა და სხვა გამოფენები.

წიგნის დღესასწაულზე მიმდინარე დისკუსიებში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს დიდი და ცნობილი წიგნის ფესტივალების ხელმძღვანელები, კურატორები, გამომცემლები და ილუსტრატორები.

მრავალ სხვა საკითხთან ერთად განიხილავენ ქართული საგამომცემლო საქმიანობის მომავალს, პერსპექტივებს, სტრატეგიას, საგამომცემლო საქმისა და ლიტერატურის განვითარების გზებს, მსოფლიო ბაზარზე ინტეგრიგების პროცესში მოსალოდნელ გამოწვევებს.





„თბილისის წიგნის დღეების“ გახსნის ცერემონიაზე, რომელსაც გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი შტეფან ვაკვიცი, საქართველოში გერმანიის საელჩოსა და მასმედიის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, კერძოდ, აღნიშნა:

– დიდად მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალის ფარგლებში საგანმანათლებლო კომპონენტია წარმოდგენილი, ჩატარდება სემინარები, რომლებში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლება. ასევე განსაკუთრებულად მინდა, გამოვყო სადისკუსიო პანელი. ბუნებრივია, რომ საგამომცემლო სფერო კულტურის სამინისტროს მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ჩვენს გამომცემლებს მსოფლიო ბაზარზე ინტეგრირების რთულ პროცესში, ძალისხმევას არ ვიშურებთ საიმისოდ, რომ რაც შეიძლება მეტი ჩვენი ავტორი ითარგმნოს სხვადასხვა ენაზე, – აღნიშნა მინისტრმა.

„თბილისის წიგნის დღეები“ 30 ნოემბრის ჩათვლით გასტანს.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

◉ სულიერება

# მათე მახარებელი




**29 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმიდა დიდებულსა და ყოვლადქებულს, მოციქულსა და მახარებელ მათეს იხსენიებს.**

მათე მახარებელი, სულთმოფენობის დღესასწაულზე, უფლის სხვა მოციქულებთან, რჩეულ მოწაფეთა შორის იყო და მათთან ერთად სულიწმიდის მადლით აივსო. მათე მახარებელი ქადაგებდა ქრისტიანობას ბევრ შორეულ ქვეყანაში.

მათე მახარებელმა სახარებაში ასახა იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება.

...ამბობენ, რომ იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით დაუწერია მას ეს წიგნი.

ტროპარი: „მწოდებელსა მას შენსა ქრისტესა მეუფესა და დამტევებელი მეზვერეობისა გულსმოდგინედ შეუდეგ, რომელი გამოუჩნდა კაცთა ქვეყანასა ზედა სახიერებისათვის, და მოციქულად რჩეულად გამოჩნდი, და ახარე სახარებაი სოფელსა ხმამაღლად; ამისთვის პატივს-ვჰსცემთ წმიდასა ხსენებასა შენსა, მათე ღვთისმეტყველო, ევედრე მოწყალესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობაი მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა“.

მათე მოციქულის სახარება ახალი აღთქმის წიგნებს შორის რიგით პირველია. მან სახარება პალესტინაში დაწერა ქრისტეშობიდან 42 წელს. ებრაულ ენაზე დაწერილი მისი სახარება შემდგომში ბერძნულად გადაითარგმნა.

**გიული ლიპარტია**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◉ კადრი



# სკანვორდი




◉ ცინცხალი ანეკდოტები

— ექიმო, რა მოვუხერხოთ ამ წყეულ აფრიკულ სენს?

— წარმოდგენა არა მაქვს. კიდევ ორი წელი იჯდება ოვალურ კაბინეტში.

* * *

მიმდინარეობს ჯარში გასაწვევთა სამედიცინო კომისია.

— რას უჩივით? — ეკითხებიან პეტკას.

— ახლომხედველი ვარ.

— არა უშავს. პირველ სანგრებში ჩაგსვამთ, რათა უკეთ დაინახოთ მტერი! შემდეგი...

* * *

— წავიდეთ კინოში? იქ უკანა ადგილები არის კოცნისთვის...

— არანაირ უკანა ადგილებს მე არ ვკოცნი!



* * *

— ექიმო, თქვენ მე მომარჩინეთ! ძალიან დიდი მადლობა თქვენ!

— ძალიან დიდი კი არა, უფრო ზუსტად, 1500 ამერიკული მადლობა.

* * *

— ესე იგი, — ეუბნება სიდედრი სიძეს ქორწილის დამთავრებისთანავე, — რაკი ჩვენთან უნდა იცხოვრო, კეთილი ინებე და ჩემს წესებს დაემორჩილე. შენ ვალდებული ხარ (ჩაუკითხავს გრძელ სიას); არა გაქვს უფლება (ჩაუკითხავს გრძელ სიას); ხოლო, როდესაც ბავშვი გაჩნდება...

— მაპატიეთ, მაგრამ მონობაში ვერ ვმრავლდები...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24